



ლიტერატურული

№ 00004

1 ივნისი 2014

ფორუმი



ეროვნული ბიბლიოთეკის დიტერატურულ ფორუმ „ებლიუფოს“ საბავშვო გამოცემა

ვრცელდება ლიტერატურის მოყვარულთა შორის

„ებლიუფოს“ არქივი

27 ოქტომბერი - „ქართული საბავშვო წიგნის დღე“

„ქართული საბავშვო წიგნის დღე“ საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდმა დააარსა. იგი იაკობ გოგებაშვილის დაბადების თარიღს — 27 ოქტომბერს (ძვ. სტ. 15 დეკემბრისთვის) დაუკავშირა.

2006 წელს ეს დღე ეროვნულ ბიბლიოთეკაში აღინიშნა და მოენყო ქართული საბავშვო წიგნისა და საბავშვო პერიოდიკის გამოფენა. ფონდმა საზოგადოებას წარუდგინა აგრეთვე «საბავშვო ლიტერატურის ალმანახის» პირველი ნომერი.

მარიამ ნიკლაური: საბავშვო ლიტერატურის განვითარება საქართველოში მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარს უკავშირდება. ლიტერატურის ეს დარგი დიდი ადამიანური ჰუმანიზმითაა აღბეჭდილი. ყველაზე გამოკვეთილი ღვაწლი ამ საქმეს იაკობ გოგებაშვილმა დასდო, დაამუშავა როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი ლიტერატურა თუ ფოლკლორი და ჩააყენა იგი აღმზრდელობითი საქმიანობის ავანგარდში. ყველა ნიჭიერ მწერალს დაავალა, ეღვაწათ ბავშვებისათვის, ეწერათ და ეთარგმნათ პატარებისათვის, და ამით ფასდაუდებელი კვალი დაამჩნია მოზარდთა აღზრდის, ერთიანი სალიტერატურო ენისა და ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბების საქმეს.

დღეს საბავშვო წიგნი საგამომცემლო საქმიანობის ხერხემალია, მაგრამ



კერძო სექტორის ბიზნეს-გეგმები, რომელთაც მთლიანად ბაზრის მოთხოვნები განაგებს, გარკვეულწილად უკანა პლანზე სწევს მწერლის საქმიანობას. ქართველ და, განსაკუთრებით კი, ახალი თაობის შემოქმედს ძალიან უჭირს მკითხველამდე მისვლა. პრობლემები ერთმანეთზეა გადაჯაჭვული: არ ხდება ახალი სახელის რეკლამირება, არარეკლამირებულ ავტორს ვერ სცემს გამომცემელი, არ არსებობს შეფასებები, კრიტიკა; არ არსებობს არც ერთი საბავშვო ლიტერატურული კონკურსი და ნომინაციები არსებულ სახელმწიფო თუ კომერციულ ლიტერატურულ კონკურსებში; არ ითარგმნება ქართული საყ-

ვაგრძელდება მე-2 გვერდზე ➔



ფიქსირებული ნომერში წაიციხხა

გიგი ჩილვინაძის
ნინო ტარყაშვილის
მაკა მიქელაძის
ნინო ქოქოსაძის
მარი ჩიკვილაძის
მანანა ქურდაძის
ნინიკო მშვიდლობაძის
ვასილ გულეურის

ბადრი სულაძის
ელენე სალარიძის
მარიამ ნიკლაურის
ლელა ცუცქერიძის
ლექსებს
გელა ჩქვანავას
ქარდა ქარდუხის

ეკატერინე ლომიძის
ინგა გოგიბერიძის
დეა ცუცქერიძის
ნოდარ შოშიტაშვილის
ლალი ნიკლაურის
პროზას

ბედის ბიჭი და ნუნურაქი ვაჭარი

იყო და არა იყო რა. იყო ერთი ძალიან მდიდარი და ძალიან ნუნურაქი ვაჭარი.

ვაჭარი იმდენად ნუნურაქი იყო, რომ ღამით, თუკი იმ დღის ნავაჭრს არ ანგარიშობდა, სანთელსაც არ აანთებდა, დამეზოგებო; ძალღს კი, რომელიც ერთგულად იცავდა მას და მის სახლს, ძლომაზე არასოდეს აჭმევდა — მაძღარზე თვლემამოერევა, ჩაეძინება და სახლში ქურდები შემოიპარებიან; მშიერ კუჭზე კი რული არ გაეკარება და ფხიზლად იქნება.

ერთ დღით ვაჭარს გლეხის ერთი ჯანიანი ბიჭი მიადგა, დღევანდელის ჩათვლით სამი

დღით, დღეში თითო შაურად მუშად დაგიდგებო. ვაჭარმა იფიქრა, ამ ბიჭს ძალა ერჩის, ორი კაცის საქმეს გააკეთებინებ, გასამრჯელოს კი ნახევარი კაცისას გადაუხდო.

იმდენი ფული არა მაქვს, რომ დღეში შაური გიხადო, ნახევარს მოგცემ, სამაგიეროდ სარდაფში გაგათენებინებ ღამეს, ეგეთი პირობა თუ განცობს - დარჩი, თუ არადა - წადიო.

ჯანი გავარდეს, თუკი ღამით სარდაფში დამაყენებ, თანახმა ვარო, მიუგო გლეხის ბიჭმა. ვაჭარმა ზამთრისთვის მოტანილი შემის მორების დახერხვა

დაავალა. თუკი, ყველა მორს შეღამებამდე მარტოკა დახერხავ, ერთი დღის გასამრჯელოს გადაგიხდი, თუ არადა, ერთ ნაჭერ პურს და წყალს მოგცემო. მორები ისეთი მსხვილები იყო, ერთი კაცი ხელებს ვერ შემოაწვდენდა. რა უნდა ექნა გლეხის ბიჭს, მკლავები დაიკაპინა, მარტოკამ აიღო ერთი დიდი ბირდაბირი და მორების დახერხვას შეუდგა. ვაჭარი კი თავის საქმეზე წავიდა.

ბიჭს თავი არ დაუზოგავს, მაგრამ შეღამების შემდეგ, როდესაც ვაჭარი სახლში დაბრუნდა, კიდეც დარჩა ერთი მორი დასახერხი. ვაჭარმა დაუხერხავი მორი რომ დაინახა, გლეხის ბიჭს უთხრა, დღიურ ნახევარ შაურს



გედა ჩქვანავა

„ქართული საბავშვო წიგნის დღე“

პარეკლი ვეკრდიან

მანვილო წიგნები და, მოკლედ, ბევრი საჭირო რამ არ ხდება. სამწუხაროდ, საგამომცემლო ბიზნესმა ქართველი უსახელო მწერლები გაინაპირა, და არც რაიმე ვალდებულებას გრძნობს ამ ვითარებაში. ამ პრობლემებზეც არ მიმდინარეობს საუბარი და განსჯა. არადა, ეს საჭიროა.

ბავშვებისათვის საუკეთესო ლიტერატურა უნდა იქმნებოდეს, მაგრამ ისე, რომ არ მოხდეს თაობათა შორის წყვეტა, რომ დროსთან შესაბამისად განვითარდეს მწერლური აზროვნება და, რაც მთავარია, განვითარდეს ქართული ლიტერატურა, რომელსაც სხვა ენაზე ვერც ერთი ერის ადამიანი ვერ შემქმნის ჩვენი ბავშვებისათვის.

ეს პრობლემები უფრო მწერლის პოზიციიდან შემოგთავაზებთ და სათქმელიც ბევრი გვაქვს, მაგრამ ცალმხრივ მონოლოგს რომ არ დაემსგავსოს საუბარი, გთხოვთ, თქვენი აზრიც მოგვანოდოთ ამ თემის ირგვლივ.

ნელიკო: კარგია, რომ ეს თემა გაიხსნა, რადგან მგონია, რომ საბავშვო ლიტერატურას არ აქვს ჯეროვანი ყურადღება, არადა, ბავშვები ხომ ჩვენი მომავალია, მათი სული კი თვალის ახელიდან ყალიბდება, მათ სულიერი საზრდო წიგნებმა უნდა მიანოდოს, მხოლოდ ღამაზად ილუსტრირებულმა კი არა, შინაარსობრივადაც კარგმა წიგნებმა.

ჩემი შვილები ნოდარ დუმბაძის, მაყვალა მრეველიშვილისა და სხვათა

პოეზიით გავზარდე./ სახლში უამრავი საბავშვო წიგნი მაქვს, რაც ჩემთვის ყველაზე ძვირფასი განძია. თანამედროვე პერიოდში ბევრი კარგი საბავშვო მწერალია, მაგრამ საბავშვო ლიტერატურის გამოცემა არ ხდება. იქნებ იმიტომ, რომ წიგნის გამოცემა გამომცემლობისათვის ერთგვარი ბიზნესია.

იქნებ მოეწყოს საბავშვო პოეზიის დღეები, შეხვედრები დაწყებითი კლასის მოსწავლეებთან, საბავშვო ბაღის აღსაზრდელებთან, იქნებ შევძლოთ, უფრო ახლოს მივიტანოთ პოეზიის ეს ჟანრი პატარა მკითხველთან.

ამას მხარდაჭერა სჭირდება. ეს აუცილებელია, რადგან საქმე მომავალ თაობას, ჩვენს შვილებს ეხება.

მარიამ ნიკლაური: 27 ოქტომბერს, სამების საკათედრო ტაძრის «ახალგაზრდულ ცენტრში» გაიმართა «ქართული საბავშვო წიგნის დღე», ჩატარდა «საბავშვო ლიტერატურის აღმანახის» მესამე ნომრის პრეზენტაცია და საბავშვო წიგნების გამოფენა-გაყიდვა. ყველაფერმა კარგად ჩაიარა: იყო ბევრი ბავშვი, მწერალი, სტუმარი და ბევრი საბავშვო წიგნი. გავიცანით ერთმანეთი საიტელებმაც. ბატონი გივი ალხაზიშვილიც კი გვესტუმრა არა ჩვეულებრივი შვილიშვილით. ვის არ ნახავდით აქ: დოდო ხიმშიაშვილი, ემზარ კვიციანიშვილი, ზაზა აბზიანიძე, მზია ჩხეტიანი, აკაკი ბრეგაძე, მაკა ლდოკონენი, შოთა ხოდაშენელი, ლალი ჯაფარაშვილი, გუგული

ტოგონიძე, თეა ლომაძე, მანანა ჯოხარიძე, ლიდა სტვილია და სხვანი. ირმამ მშვენივრად წაიყვანა საღამო: ქალთა გუნდმა შეასრულა სხვადასხვა კუთხის ნაწინები და «მრავალჟამიერი», ბავშვებმა «ქართული ტრადიციების სახლიდან» გაითამაშეს ხალხური თამაშობები, გაიცნეს მწერლები, მხატვრები და გამომცემლები.

ცენტრის ხელმძღვანელმა, მეუფე სტეფანემ განაცხადა, რომ საპატრიარქოს ეგიდით საბავშვო ლიტერატურაში საგაიხოდ დაწესდება და გაიცემა ლიტერატურული ჯილდოები სხვადასხვა ნომინაციაში.

ასე რომ, ერთი ღამეში დღესასწაული შეემატა ჩვენს ცხოვრებას — «ქართული საბავშვო წიგნის დღე — 27 ოქტომბერი» და დღეიდანვე დაიწყეთ მზადება შემდეგი წლისათვის. საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდი — «ლიბო» (ლიტერატურული ინიციატივები და ბავშვთა ორიენტირები) — ბედნიერია, რომ მის ინიციატივას ასეთი მხარდაჭერა გამოუჩნდა საზოგადოებაში.

ვასო: მიხარია, რომ კარგ საქმეს კარგი გაგრძელება აქვს! საბავშვო ლიტერატურაზე ზრუნვა ბავშვებზე ზრუნვაა. წარმატებებს ვუსურვებ ყველას, ვინც ამ საქმეში თავის წვლილს გაიღებს!

ირმა მალაციძე: მართლაც, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. იმედი მაქვს, რომ კიდეც ბევრ კარგ დღესასწაულს მოვანწყობთ ბავშვები-

სათვის. მაგრამ გული მწყდება, რომ ჩვენს საიტზე ყველაზე ცოტა სტუმარი სწორედ ამ თემას და აგრეთვე საბავშვო ლიტერატურის თემას ჰყავს. თითო-ოროლა ადამიანი თუ შეიხედავს მასში იშვიათად. არადა, წესით საბავშვო ლიტერატურის ბედი ყველაზე მეტად უნდა აწუხებდეს ყველას. თუ ბავშვი არ გაიზარდა წიგნის სიყვარულით, ის არც სადიდო ლიტერატურას შეიყვარებს, როცა გაიზრდება.

ნოდარი: ალბათ, იმიტომ რომ ჩვენი ფორუმელების უმეტესობა უკვე აღარ არის ბავშვი (ასაკით მაინც) და ჯერ კიდევ არ არის მშობელი.

გუშინაც, «საბავშვო წიგნის დღეზე», «ჩვენებს» რომ ვეძებდი, «მშობელი-ფორუმელები» ვნახე მხოლოდ.

მარიანა: ირმა და მარიამი, როგორც იტყვიან, აბსოლუტური “ენტუზიაზმით” უმკლავდებიან ამ თავიანთ ნამოწყებულ საქმეს, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე;

პირიქით, ვიცი, ხშირად საკუთარი სახსრებით წყვეტენ ზოგიერთ პრობლემას.

უბრალოდ, ჩვენთან არაა გაცნობიერებული საბავშვო ლიტერატურის განვითარების მნიშვნელობა, ამიტომ დახმარებისა და მადლიერების ნაცვლად ეს ორი ახალგაზრდა ქალი მუდმივად სხვადასხვა რიფებს აწყდება. ძალიან სამწუხაროა.

გივი ჩიღვინაძე

ვითომ-ვითომ-ვითომ

რომ იცოდეთ, ჩვენი ნიკო უკვე ზღაპრებს აღარ ითხოვს, უცხო ამბებს ყვება თვითონ, ჩვენც გვართობს და თავსაც ირთობს. ამბობს: - ტყეში სოკოს ვკრეფდი, ვნადირობდი თანაც ხმლითო და სალამოს დიდი დათვი მოვიყვანე კალათითო. იქა მყავდა მამლაყინნაც გაჰყიოდა მთელი ხმითო, მერე მანაც ივაჟუცა, დაიჭირა მელა ფრთითო. ჩვენი მურას გამირულ ამბავს, გაიოცებთ, აღარ მკითხოთ, - ერთ ფერდობზე სამი მგელი დაატყვევა ხაფანგითო... - ნუ გვატყუებ, ბიჭო ნიკო, აღარ მოგცემთ ნაბლს და თხილსო!.. - რად არ მომცემთ ნაბლს და თხილსო? ეს ამბები მეტიც ღირსო. ზღაპრად ვყვები, რასაც ვფიქრობ, - ვითომ-ვითომ, ვითომ-ვითომ...



ტარყაშვიცი ნინო

მზეხ

შუქს ჰფენ ცას და მიწას და სითბოთი გვავესებ, არ დაბერდე, მზეო, იკაშკაშე, ასე.

ბეხის ბიჭი და ნუნურაქი ვაჭარი

მეორე გვერდიდან

ვერ გადაგიხდი, ერთ ნაჭერ პურსა და წყალს უნდა დასჯერდეო. ბევრს ეხვეწა ბიჭი, ამ ნახევარ მორს სიბნელეშიც კი ერთი ამოსუნთქვით დავხერხავ, ოლონდ ნება დამრთეო, მაგრამ ვაჭარმა მაინც არ ქნა. გამოუტანა ერთი ნაჭერი ობიანი პური და ხელადით წყალი, ივანხმე და დაიძინე, დილით ადრე უნდა ადგეო.

სანამ ბიჭი ხელზე წყალს ივლებდა, პურის ნაჭერი მშვიერმა ძაღლმა აწაპა და თვალის დახამხამებაში გადასანსლა. ამის დანახვაზე ბიჭმა გაიცინა და თქვა, პური რათ მინდა, ბატონს ისეთი გემრიელი წყალი ჰქონია, ესეც კარგად დამანაყრებსო, ხელადა გამოცალა და დასაძინებლად სარდაფში ჩავიდა.

თურმე ბიჭის სიტყვები ვაჭარსაც გაეგო და მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, ნეტა მართლა ასეთი მანქანა ჩემი წყალი, რომ კაცს უჭმელს გააძლებინებს, უნდა ვნახო დილით ბიჭი როგორ ჯანზე ადგებაო. ინათა თუ არა, ვაჭარი სახლის აივანზე გადმოდგა და ბიჭს დაუძახა, ადექი, კაი ძალი საქმე გელოდებაო.

ბიჭი მაშინვე ეზოში გამოვარდა. ვაჭარმა, რაკი ნახა, ბიჭი მშვენივრად გამოიყურებო, მისთვის პურის ნაჭეხიც არ შეუთავაზებია, ხელადა წყლით გაუვსო, შუადღის დადგო-

მამდე დარჩენილი მორის დახერხვა და დახერხილი კოტრების დაჩეხვა დაავალა. ბიჭმა ხელადიდან წყალი მოსვა და საქმეს შეუდგა.

ვაჭარი აივანზე დარჩა და ბიჭს თვალს არ აცილებდა. ის კი ხალისიანად ირჯებოდა და დათქმულ დრომდე საქმეს ღიღინ-ღიღინით ისე მორჩა, დაღლა დიდად არც დასტყობია.

ვაჭარმა ბიჭს თავისი ხელით ჩაუტანა წყლით სავსე ხელადა. ბიჭმა წყალი დალია და, მეტს რას დამავალებთ დღეისთვისო, ჰკითხა.

დაჩეხილი შეშა შელამებამდე ფარდულშ გადაზიდე და იქ დაანყვეო.

რა დიდი ამბავი მაგას უნდაო, უპასუხა ბიჭმა. ხომ არ გშიაო, ჰკითხა ვაჭარმა. არა ბატონო, საქმეს მოვრჩები და მერე ვივანხმებო.

ბიჭი საქმეს შელამებამდე კარგახნით ადრე მორჩა. ახლა ჩემს ძაღლს რაც კი მკბენარები ასევია, ყველა მოაცილე და დღევანდელი დღის გასამრჯელოსაც ჩაგიტვლიო.

რა დიდი ამბავი მაგას უნდა, ისევ თქვენი წყალი მიშველის ამ საქმეშიო, მიუგო ბიჭმა. აილო ერთი ძველი დიდი გობი, გაავსო წყლით, ძაღლს პირში ჩვარი ჩასჩარა, რათა არ დაეკბინა, შემდეგ ხელში ფრთხილად აიყვანა და გობში ნელ-ნელა ჩაუშვა, ისე რომ წყლის ზემოთ მხოლოდ

დინგი დარჩა. მკბენარები წყალს გაურბოდნენ და ყველანი ერთად ძაღლის დინგზე მოგროვდნენ. ბიჭმა ძაღლს პირიდან ჩვარი გამოუღო, მკბენარები იმაში გაახვია და ცეცხლში დანვა.

ამის დანახვაზე ვაჭარი სახტად დარჩა, წყლით მკბენარების მოცილება არასოდეს მინახავსო. ძალიანაც ენანებოდა ნახევარი შაური, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა. ჩაიყო ჯიბეში ხელი, ამოიღო ფული და ბიჭს გადაუგდო, აჰა, შენი გასამრჯელო, თუ გინდა ამ ფულით ნახევარ პურს და ერთ ნაჭერ ყველს მოგყიდი და დანაყრდიო. არ მინდა, პურსა და ყველს ფული მირჩვენია, თანაც წყალმა გამაძლო და არ მშიაო, უპასუხა ბიჭმა. მაშინ დაიძინე, ხვალ დილით ადრე უნდა ადგე, გუშინწინ სახედარი მომიკვდა, ასე რომ, გოდრები შენ უნდა წამოიკიდო და დუქნებისთვის საქონელი მომიზიდო.

რა დიდი ამბავი მაგას უნდა, ოლონდ კი თქვენს წყალობას ნუ მომაკლებთო, მიუგო ბიჭმა. რა წყალობასო, დაეკითხა ვაჭარი. რასა და, თქვენს წყალსა და ღამის სარდაფში გათენებასო, შეაგება ბიჭმა. ხელპირი დაიბანა, წყალი დალია და დასაძინებლად გაემართა. დაძინების წინ კი ვაჭარი გააფრთხილა, ხვალ ბოლო დღეა, ზეგ დილით სოფელში უნდა წავიდეო.

ვაჭარს არც იმ ღამით დაუძინია — ბიჭი ხომ არ მატყუებს, ღამით ჩუმად სარდაფიდან ხომ არ ამოდის და საჭმელს ხომ არ მპარავსო, ფიქრობდა. ეჭვებით შეპყრობილი აივანზე სავარძელში მოკალათდა და სარდაფში ჩასასვლელ კიბეებს გათენებამდე ერთგული ძაღლივით დარაჯობდა. მხოლოდ გამთენიისას მიელულა თვალები, მაგრამ მაშინვე ბიჭმა გამოაღვიძა, გათენდა უკვე, ჩემო ბატონო, საქმეს ვენიოთო.

დაღამებამდე შეუსვენებლად ზიდა ბიჭმა ზურგზე ხურჯინივით გადაკიდებული უზარმაზარი გოდრებით ვაჭრის დუქნებისთვის საქონელი. ვაჭარს კი ისე აინტერესებდა, მართლა ცარიელა წყალზე იყო ბიჭი თუ არა, მთელი დღე თავისი ეტლით უკან დაყვებოდა, აბა ვნახო, საჭმელს ხომ არ შეჭამოსო. მაგრამ ბიჭს ხემსი არ ჩასვლია პირში.

ვაჭარს ახლა სხვა ეჭვი გაუჩნდა, ეტყობა ჩემი სარდაფი აძლევს ისეთ ძაღლს, რომ უჭმელად უკვე მესამე დღეა კარგად დანაყრებულივით მუშაობსო. ჩამოვიდა ეტლიდან და ბიჭს სთხოვა, ბარემ ხვალაც დარჩი და იმუშავე, ერთ შაურს გადაგიხდი, სოფელში კი ზეგ დილით წადიო. ბიჭი უარზე დადგა. რამდენს არ ეხვეწა ვაჭარი, მაგრამ მაინც ვერ დაითანხმა.

ვაჭარდღეობა მეოთხე გვერდზე

ვაჭარმა გადაწყვიტა ის ღამე ბიჭთან ერთად სარდაფში გაეთენებინა. მანამდე კი ახალი საქმე დაავალა: ჯერ კიდევ არ ჩამოლამებულა, აბა შენს გაზრდას, სარდაფში რაც თავგებია, ყველა დაიჭირე და ცოცხლად მომგვარე, უსწორმასწორო თიხის იატაკი კი კარგად მოასწორე და მოტკეპნეო.

რა დიდი ამბავი მაგას უნდა, თქვენი წყალი და მისი ჯანიო, უპასუხა ბიჭმა. აილო ერთი გოგრა, გაუკეთა ერთი ნახვრეტი, დაიჭირა კატა, დაავლო წყლით სავსე კასრს ხელი და ყველაფერი სარდაფში ჩაზიდა. კასრი სარდაფის თიხის იატაკზე დაცალა. წყალი კედლების ძირებში ხვრელებში ჩავიდა და იატაკზეც ცოტაზე დარჩა. ხვრელებში რაც კი თავგები იყვნენ, ყველანი ზევით ამოცვივდნენ. დადო ბიჭმა გოგრა ერთ შედარებით მშრალ ადგილას და კატა გაუშვა. კატის შიშით თავგები გოგრაში შეძვრნენ. ბიჭმა გოგრას ნახვრეტი ამოუქოლა, წამოავლო ხელი და ბატონს მიართვა — აჰა, შენ თავგები, მე კიდევ ნახევარი პური მომეციო. მოგვივდა ალბათო, გაუხარდა ვაჭარს. არა, ძალღს უნდა ვაჭამო, რომ მოლონიერდეს და სარდაფის იატაკზე თიხა მომიზილოსო. გამოიტანა ვაჭარმა სახლიდან ნახევარი პური, მაგრამ დაენანა, იმ ნახევარს ყუა ჩამოატეხა და ძალღს გადაუგდო.

ბიჭმა ამასობაში კატა დაიჭირა და ჭერზე თავდაღმა დაკიდა, დაუძახა ძალღს და სარდაფში ჩაუშვა. კატის დანახვაზე ძალღი გადაირია, ორ ფეხზე შემდგარი ბუქნაობდა, რათა კატას მისწვდომოდა და თან უკანა თათებით წყლით დამბალი იატაკის თიხას ზელდა. თიხა კარგად რომ აიზილა, ბიჭმა ძალღი და კატა გარეთ

გამოუშვა, თვითონ კი კასრი მანამ აგორავა იატაკზე, სანამ ძალღის მიერ აზელილი თიხა კარგად არ მოსწორდა და არ დაიტკეპნა.

აბა, ჩამობრძანდით, ჩემო ბატონო, სარდაფი მზად არისო. ჩაატანინა ვაჭარმა ბიჭს სარდაფში თავისი ტახტი და მუთაქები და დასანოლად მოემზადა. დაძინებამდე კი ბიჭს ჰკითხა, პური ხომ არ მოგმივდაო. პური რაღათ მინდა, ეგეთი მანიერი წყალი გქონია, ისიც კარგად მანაყრებს, თან კიდევ, ხომ ხედავ, საქმის კეთებაშიც როგორ მეხმარებაო, უპასუხა ბიჭმა, გადაბრუნდა და დაიძინა.

მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს ვაჭარს, სულ ბიჭს აკვირდებოდა, ემანდ, პურს ხომ არ ჭამს საბანქვეშო. ბიჭს გაუტოკებლად ეძინა, მხოლოდ ერთხელ გამოეღვიძა, წამოხტა, ფეთიანივით უბეზე იტაცა ხელი, აქ არისო, ჩაილაპარაკა კმაყოფილმა, უბის თავი ქინძისთავით შეიკრა, დანვა და ისევ დაიძინა. ნეტავ რას ინახავს ასეთს, რომ შუა ძილში დამდულრულივით წამოხტა ფეხზე და ჯიბეც ქინძისთავით ისე საგულდაგულოდ შეიკრა, თითქოს ბოქლომი დაადოო, ფიქრობდა ვაჭარი და ძილი საბოლოოდ გაუტყდა. მხოლოდ დილისკენ მილულა თვალი და მაშინვე ბიჭმა გამოაღვიძა.

გათენდა უკვე, ჩემო ბატონო, გუშინდელი ჩემი ნამუშევარი ნახევარი შაური მიბოძე, სოფლის გზას უნდა გავუყვებო. პური ხომ არ გშიაო, ჰკითხა ვაჭარმა. პური რათ მინდა, წყლის მაღლი ნუ მომიშალოს ღმერთმაო.

დაენანა ვაჭარს ნახევარი შაურის მიცემა ბიჭისთვის და უთხრა, თუ გინდა გუშინდელი გასამირჯელოს ფასად ნახევარ კასრ წყ-

ალს გაგატანო.

არაო, უთხრა ბიჭმა, ვაჭარს ფული გამოართვა და უნდოდა შეენახა, მაგრამ ხელი უბეში ვერ ჩაიყო, რადგან ის ქინძისთავით შეკრული დაუხვდა. ნეტა აქ საიდან გაჩნდა ქინძისთავი, გუშინ საღამოს ისე დავნეჭი, რომ უბე შეუკრავი მქონდაო, გაიკვირვა ბიჭმა.

წუხელ გამოგეღვიძა და შენ თვითონ დაადე ქინძისთავი ბოქლომითო, უთხრა ვაჭარმა ბიჭს, მაინც რა გიდევეს შიგ ასეთი ძვირფასიო.

ბიჭმა პასუხად ერთი პატარა შუშა ამოიღო და ვაჭარს უჩვენა, ეს ჯადოსნური სითხეა, ერთ ხელადაზე ნახევარი წვეთი ყოფნის, წყალს სიმადღრის და გონიერების წამლად აქცევს, ერთი ჭიქა ასეთი წყალი, წყურვილსაც უკლავს კაცს და შიმშილსაც, თან ჭკუასა და გამჭრიახობას მატებს, შენი თვალითაც ხომ ნახე, თუ როგორ ვიადვილებდი დღის ბოლოს საქმეებსო.

დაფიქრდა ვაჭარი, მგონი ეს არ ტყუისო. საიდან ასეთ გაღლეტილს ჯადოსნური სითხეო, დაეკითხა ბიჭს. საიდან და, ერთი წელი ჯადოქარს ვედექი მოჯამაგირედ და იმან მაჩუქაო.

მომყიდე ეგ შუშაო, უთხრა ვაჭარმა ბიჭს, მაგრამ ის უარზე დადგა. ბევრი ეხვეწა და ემუდარა ვაჭარი ბიჭს, ბოლოს კი დაიყოლია.

მთლიანად ვერ მოგყიდი, მხოლოდ ნახევარს დაგიტომბ ათას ოქროდ, ერთი შუშა ერთი სიცოცხლის განმავლობაში ყოფნის კაცს, შენ კიდევ შუახნისა მოყრილხარ და ნახევარიც ყელში ამოგივავო. ბევრი ევაჭრა ვაჭარი ბიჭს და მანაც ბოლოს ნახევარი შუშა ჯადოსნური სითხე ას ოქროდ დაუთმო და ზედ კიდევ მისი ეტლის ბედაურიც დაამატებინა.

გადაუსხა ნახევარი შუშა სითხე ბიჭმა ვაჭარს, შემოჯდა ბედაურზე, გავიდა ქუჩაში და სანამ ცხენს მართავს შემოკრავდა, თავის აივანზე მედიდურად გამოჭიმულ მასპინძელს უთხრა, ემანდ, სავარძლის ქვეშ შენთან ნამუშევარი ერთი შაური დავტოვე, აილე და მშვიდობაში მოიხმარეო. ეცა ვაჭარი სავარძელს და გადააბრუნა. სავარძლისთვის წვრილი თოკი გამოება ბიჭს, თოკის მეორე ბოლო კი აივნის ჭერზე დაკიდებულ წყლით სავსე დოქის ტურზე მიება. ვაჭარმა სავარძელი რომ გადააბრუნა, დოქიც გადმოპირქვავდა, რაც მასში წყალი იდგა, მის პატრონს გადაესხა და ერთიანად განწუნა.

ახლა მაინც გამოფხიზლდი, შეწუნურაქო, შენა, ვერა ხედავ, სიხარბემ ისე დაგაბრმავა, რომ ჩემისთანა გლეხის ბიჭმა ადვილად გაგაცურა, ნახევარი შუშა უბრალო წყალი ას ოქროდ და ერთ ბედაურად გაყიდვინაო, შეუძახა ბიჭმა მასპინძელს.

ვაჭარმა თავზე ხელეები წაიშინა, დამიბრუნე ჩემი ფული და ცხენიო, მაგრამ ბიჭი რას დაუბრუნებდა.

ჯანდაბას ოქროცა და ბედაურიც, ალალი იყოს შენზე, მხოლოდ ერთ რამეს გთხოვ, ქალაქის მეორე ბოლოში კიდევ ერთი მდიდარი ვაჭარი ცხოვრობს, სულ კრიჭაში მიდგას და მეჯიბრება; იმასთანაც მიდი და ისიც ეგრე გააცურეო, შეეხვეწა ვაჭარი ბიჭს.

სწორედ იმან გამომავ ზავნა შენთან; იმასაც, ასი ოქროსთან ერთად, ბედაურიც რომ დავტყუე, ერთ მეჯინიბეს მივაბარე სამი დღით და იქ მივდივარო, უპასუხა ბიჭმა, ცხენს მართავი გადაჰკრა და თვალს მიეფარა.

ქარცა ქარცუხი ვიქირავებ ბებიახ

სამსახურახლადდაკარგულ კაცს სხვა რა საქმე უნდა მქონოდა, მივაბიჯებდი რუსთაველზე და არც ერთ ჭადარსა და მასზე გაკრულ თუ ჯვარცმულ ქალღმრთის ნაფლეთს არ ვტოვებდი, თან ბედის ირონიით, რომ არ მშორდებოდა, ჩემი ახვარი უფროსის “გაჟვიბინებულ” სიფათს ვიხსენებდი. არ ვიცი ეს სიტყვა როგორ უნდა გაიგოს კაცმა თუ ჩემი ყოფილი უფროსის სიფათი არ უნახია, მაგრამ პრინციპში საკუთარი, ყოფილი ან, თუ ვაჟკაცობა ეყოფა, ახლანდელი უფროსი წარმოიდგინოს შუადღის ნაბახუსევზე და 99 პროცენტის შემთხვევაში განსხვავება არ იქნება. ჰოდა ვფიქრობდი რომ ეს ქალაქში დაბადებულგაზრდილალბრდილი კაცი არაა ქალაქელი-მეთქი; რაც ჩემმა ქალაქში გატარებულმა ნახევარცხოვრებისეულმა გამოცდილებამ და დაკვირვებამ მასწავლა, მთა-

ვარი თვისება ქალაქელისა ისაა, რომ სხვას შეურაცხყოფას არ მიაყენებ-ტყუილუბრალოდ. ჰო, ასეა. წარმოიდგინეთ როცა სხვას არ მიაყენებს შეურაცხყოფას, ახლა სხვას მიაყენებინებს შეურაცხყოფას? მე კი, რაც ამ ახვარს ვაგინებდი, მიღიმოდა, და რა ვქნა ბრძანება უკვე გავაფორმეო, ლულულულებდა. წარმოგიდგენია? ჰოდა მოკლედ ათას სულელურ განცხადებას შორის ერთ საოცარს ნავანყდი, მოულოდნელს თავისი შინაარსითა თუ ფორმით, რაღაცნაირი მაღალი ხარისხის თუ არ ვცდები აბრეშუმის მოიისფრო ქალღმრთე იყო გამოყვანილი ასოებით ნაწერი:

“ვიქირავებ ბებიახ; არა ძიძას, არა შინამოსამსახურეს, არა მზარეულს, ბებიახ. ბავშვს რომ სითბო აგრძნობინოს. სიცხე როცა ექნება, შუბლზე ხელი დაადოს და მისუსტებულ თვალებში სითბოდ ჩაელვაროს. შემდეგ ხელები ქინძის, უცხო-სუნელისა და ფილთაქვას სუნით გაჟღერებულ წინსაფარზე შეიმშრალოს და აცახცახებული ბებრული ხელე-ბით ძმარში ამოვლებული წინდები

ჩააცვას, შემდეგ აჩქარებულმა ფოსტლების ფლატუნით სამზარეულოში სადაცაა გადმოსულ რძეს სული შეუბეროს - ჯადოსნურად დაუჯეროს აბუჟბუჟებულმა რძემ და ჩაინიოს ფსკერისკენ. სოფლელი უნდა იყოს, ქალაქელი ვერ იქნება, იას სიღბო არ ექნება მაინც, უცხო სუნელის სუნი ვერ ექნება. ქალაქში გადმოსხვენილ ბებიახ ვიქირავებ, სადმე ოფისში, საპირფარეოების სანმენდად, დამლაგებლად მიკუნჭულს. ბებიახ სიღბო მინდა იგრძნოს ბავშვმა.”

განცხადების ჩამოხევა ვერ ვიკადრე და მობილურში ჩავინერე. ორი კვირის შემდეგ კი როცა მეუღლე აჩქარებული გაიქცა სამსახურში და სიცხიანი ხუთი წლის ლამა ჩემს იმედად დატოვა, მაშინღა გამახსენდა და ზღაპრებმომეზრებულს ეს განცხადება ნავუკითხე.

— მა, ასეთ ბებიახ სად ვნახავთ, ამდენი რამე იცოდეს? — სიცხიანი თვალები მომაპყრო



ვაჭარს სხვა მესხეთ ვაჭარზე



მაია მიქედაძე

პატარა რომ ვიყავი

პატარა რომ ვიყავი, მასწავლიდა ბაბუა, ანტარქტიდა არ არის თურმე ნიკარაგუა.

არც ტემზა დის პარიზში არც ამური — სიდნეიდ, მე კი პირდაფჩენილი დიდ რუქასთან ვიდექი.

ეს ბურთიც და ის ბურთიც ეს სფეროც და ის სფეროც, თურმე მრგვალი კი არა, არის ნახევარსფერო.

მეოთხედიანი გვერდიდან

ვიქირავებ ბებიას

ბავშვმა და გაოცებული შემომაცქერდა — მაშინლა მივხვდი, რომ ლამამ, რომელსთვისაც შესავალი არ გამიკეთებია, ისე ნავუკითხე განცხადება, პირდაპირი მნიშვნელობით გაიგო, რაღაც აზარტმა ამიყოლია და უკან არ დავიხიე.

— ყველა გაზეთში განვათავსებ და აუცილებლად ვიპოვით.

— ჩვენი ბებო რომ ჩამოვიყვანოთ?

— ვერ ჩამოვა შვილო, შეუძლოდა!

ვლერღავ სადღაც ყელიდან და ვიხსენებ დედაჩემს, ძლივს რომ დადის ცალთვალდავსილი, მეგაქალაქის გარეუბნის ციცქნა ოთახში.

— მა, ბებოს რომ შეეძლოს, უცხო ბებიას მაინც დავიქირავებდით?

— არა ბიჭო, მაშინ რაში დაგვჭირდებოდა?! —

— მა, ის მაინც არ იქნება ნამდვილ ბეზიასავით, — სინრფელის ეტალონი უკრიალებს თვალეში.

— თუ გინდა არა განვაცხადოთ! — ვეუბნები დაეჭვებული.

— არა, ბიჭო განვაცხადოთ, ბებიას მიმსგავსებული ხომ იქნება მაინც? — სუნთქვა შეეკრა ლამის — ძიძაც სულ არ გავდა დედისკო, მაგრამ ხომ გვყავდა?!

ენტუზიაზმს აყოლილებმა თორმეტცალად დავბეჭდეთ განცხადება და ყველა სერიოზულ გაზეთში დავაგზავნეთ, თქვენთანაც ამიტომ ვბეჭდავ- იქნებ გეგულებოდეთ სადმე, არ დამზარდეთ, - ბეზიას ვეძებ, ბავშვს შუბლზე ხელი რომ დაადოს სიცხიანს, სხეულზე ქინძისა და პიტნის სურნელი ასდიოდეს, ოღონდ ქალაქელი არა, სოფლელი ბებია უნდა იყოს.

ბაბუ, როგორ ვისწავლო
კოლაჯ და ლუმპურიც,
თუკი ერთი მხეცია,
მეორე კი კუნძული?

ან რა დამამახსოვრებს,
ამდენ ხეცს და მთაგრეხილს,
ბაბუ ამბობს გამაგრდი,
ჰოდა კაცი დადგები.

შემოვივლი ამ ქვეყნებს,
სიგრძელთ და განედით,
პერუს დროშა არ გახსოვს,
ნააგე და დამნებდი.

-რომ იცოდე თავშიც კი
ტვინის ორი სფეროა,
თუ ერთი არ მუშაობს,
ამუშავე მეორე.

თუ გინდა რომ გახსოვდეს,
ყველა ველი, ბორცვიც, კლდეც,
ტვინი აღარ გამოროთო,
ამუშავე ორივე.

ჩავიცინე ჩემს გულში,
რად მომიყვა არაკი.
ჩვენთან ყველა მუშაობს,
სხვა ქვეყნებში არავინ.

ეს სკოლაში მასწავლეს,
სულ არ დამზარებია,
სკოლაში გაქვს გლობუსი,
ის მთლად სფეროსებრია.

ბაბუმ საჩვენებელი
ჯოხით ლახა ხელია,
ბოლოს გამომიცხადა,
— ეგ გლობუსი ძველია.

ჰოდა, ბევრი ვიცინეთ,
ერთ რამეზე შევთანხმდით,
ნახევარს და ნახევარს
რა უკლიათ ერთამდის!

მოდით მთელი მსოფლიო
დავატიოთ თავებში,
რა თქმა უნდა გულებშიც!
ჰოდა ხალხი დავდგებით!



ნინო ქოქოსაძე

გათვცა - ციხარცეცა

რა ფერია ვარ-დი?
ნი-თე-ლი.
შენ გავარდი
პირ-ვე-ლი.

მანდარინი?
ნა-რინ-ჯი.
შენც მიყევი
ნა-ბი-ჯით.

ახლა ცისარ-ტყელა-ზე
ყვითე-ლია ფე-რი.
დადგა შენი ჯე-რი.

მერე მოდის
მწვა-ნე.
შენც გადიხარ მა-ლე!

ცის-ფერია ზე-ცა.
ახლა გადის ე-სა!

ლურჯი არის ზღვა.
ვინ-ლა დარ-ჩა სხვა?.

იის ფე-რი მე-ლა-ნი.
ვი-მა-ლე-ბით
ყვე-ლა-ნი.

დაიხუჭე შენ!

ეხატერინე ცომიძე

წითელქუდას და ციხარცეცას მგის ამბავი

— წითელქუდა, რამდენი კითხვა გიჩნდება... შენთან ლაპარაკში ნამცხვარი დამენვა, რა უნდა ნაულო ბებიას?

— დედა, ჩვენ შეგვიძლია გამოვაცხოთ ახალი ნამცხვარი, მაგრამ თუ კითხვებზე პასუხებს არ გამცემ, კიდევ უფრო მეტი კითხვა დამიგროვდება და ერთ დღეს მაინც მოგიწევს მიპასუხო. ან სხვისი მოძებნა მომიწევს.

— კი მაგრამ სხვა ჩემსავით გულიანად ხომ არ გიპასუხებს?

— დედიკო მერედა რატომ კარგავ დროს, შენ მიპასუხე ყველა კითხვაზე და ბეზიასთვის მეორე ნაცხვარი გამოვაცხოთ.

წითელქუდამ სახლთან ახლოს, უზარმაზარ სავაჭრო ცენტრში ჩაირბინა, რათა ახალი ნამცხვრის გამოსაცხოზად კვერცხი, შაქარი, რძე და კიდევ სხვა რამე ეყიდა. მას ძალიან უყვარს

სავაჭრო ცენტრში ჩაირბინა. თუმცა, რაღა ჩაირბინა, მიდის და საათობით იკარგება. მერე ზუსტად იცის სად რა და რა ფასად იყიდება. ამიტომაც დედა დატუქსვას მალევე ამთავრებს და ღიმილით კოცნის. ამჯერად ნამდვილად ჩაირბინა წითელქუდამ სავაჭრო ცენტრში. იცის, რომ დედამ მეორე ნამცხვარი მალე უნდა გამოაცხოს და დროულად ნაულოს ბებიას, რომელიც დიდი ხანია ელოდება. მიუხედავად იმისა, ჩაირბინით არის თუ ხანგრძლივი გასეირნებით, წითელქუდას მუდმივად აოცებს სავაჭრო ცენტრი. მაგალითად ფასდაკლებები. ერთხელ დედამ აუხსნა, რომ ფასდაკლება ისეთ საქონელზე წესდება, რომელიც უკვე მოდიდან არის გადასული, ანუ როგორც ბებო ამბობს, დრომორჭმულია. ამ საქონლის მწარმოებელმა იმდენი გაყიდა, რომ სანარმოო ფასიც ამოიღო, მოგებაც ნახა და ახლა



ეკატერინე ცომიძე


შეუძლია იაფად გაყიდოს პროდუქციამ, განმარტავს მამა. წითელქუდას კი უკვირს, თუ მწარმოებელმა მოგება ნახა, საჩუქრად რატომ არ არიგებს დარჩენილ ნაწარმს, ამით ხომ ბევრ ხალხს გაახარებდა? — უტრიალებს წითელქუდას ეს კითხვა თავში და ვერაფერს პასუხობს. როდესაც წითელქუდა სავაჭრო ცენტრში მიდის, დედამ ზუსტად, იცის უკან დაბრუნების შემდეგ როგორ მოიქცევა მისი პატარა გოგონა. ნავაჭრ საქონელს მაგიდაზე დააწყობს და დანაწილებით იტყვის, სავაჭრო ცენტრში ახალი ფასდაკლებები დაიწყო, მაგრამ საჩუქრად ისევ არავინ არაფერს არ არიგებს. დედამ არ იცის რით ანუგეშოს ბავშვი. საქმეში მამაც ჩაერია, მაგრამ, ვერც იმან მიაგნო პასუხს. მამის მეგობრებსაც შეაპარა კითხვა წითელქუდას, მაგრამ ამაოდ. წითელქუდას უკვირს, უფროსებმა თუ ყველაფერი იციან, მაშინ რატომ არ აქვთ პასუხი ერთ უბრალო კითხვაზე, რატომ არ არიგებს ფასდაკლებულ საქონელს მენარმე საჩუქრად? დედამ მეორე ნამცხვარიც გამოაცხო. ცოტა კიდევ შეებრანა ნამცხვრის ერთი გვერდი და რაღა თქმა უნდა, ისევ წითელქუდას მეტისმეტი ცნობისმოყვარეობის გამო. მას ხომ სწორედ მაშინ მოუნდა ახალი ზეთის საღებავების ფერების შეზავება, როდესაც დედამ ნამცხვარი გამოსაცხოზად შედო ლუმელში. კიდევ კარგი, ცხობის მინურულს შემთხვევით მამამ დარეკა, თორემ წითელქუდა დღეს ბებიასთან ვერ წავიდოდა.

დედამ ძალიან ლამაზ კალათაში ჩადო ნამცხვარი და სხვა ტკბილეული. წითელქუდას ლამაზი კაბა ჩაცვა, განუყრელი წითელი ქუდი შეუსწორა და გააფრთხილა ბებოსთან მოკლე გზით წასვლა არ ეცადა. ავტობუსში ჩაჯექი და გრძელი გზით მშვიდობით მიდიო. დედამ იცოდა, რომ წითელქუდა არ დაუჯერებდა და მოკლე გზით, ტყეს გაივლიდა მგელთან შეხვედრის იმედით, მაგრამ მაინც დაარიგა ცნობისმოყვარე და ჯიუტი შვილი. ტყე უყვარს წითელქუდას, ფეხით სიარულიც უყვარს. არ უყვარს დიდი და ფართო გზები და ბევრი ავტომობილები. არც ხმაური მოსწონს და არც ის, რომ ავტობუსებში ხშირად ცუდი სუნის დგას. განსაკუთრებით როდესაც ცხელი და როგორც დედა ამბობს, დაუბანელი სხეულების სუნი ტანსაცმელს გარეთ აღწევს. მიუხედავად ამისა, დედას მოსწონს ტრანსპორტით მგზავრობა. ამბობს, რომ ასე ბევრ დროს იგებს. წითელქუდას ვერც დროის მოგების ვერაფერი გაუგია. ვერ ხვდება რატომ არ უნდა გინდოდეს შემოდგომაზე ძალიან ღამა ტყეში ფეხით სიარული. მერე რა, რომ შესაძლოა მგელი შეგხვდეს. ის ხომ არც ისეთი საშიშია, როგორც სხვებს ჰგონიათ, ფიქრობს წითელქუდა და შემოდგომის ოქროსფერი ფოთლების ბილიკზე დაფენილ ტალღას მიარღვევს. ზუსტად იცის სად შეხვდება ციყვი და სად გადაურბენს მელა. როგორ უნდა იმ მელასთან დაახლოება, მაგრამ კუდბუთქუნა სულ გარბის. წითელქუდას სადღაც ამოიკითხა, რომ ცხოველები ადამიანებთან ძალიან ახლოს იყვნენ, სანამ ადამი და ევა სამოთხეში ცხოვრობდნენ. რდესაც ადამიანი გაბოროტდა, მხეცებს მისი შეეშინდათ და გაურბიან, ან შიშით თავს ესხმიანო. ამის მერე წითელქუდას მტკიცედ დაიჯერა, რომ ყველანიარ ცხოველთან შეუძლია მეგობრობა, რადგან

ის ფიქრობს, რომ ძალიან კეთილია და არავის მიმართ არ ამოძრავებს ბოროტება. ამაში დასარწმუნებლად კი გადანყვიტა მგელი მოძებნოს და მასთან დაამყაროს პირველი ადამიანურ-ცხოველური მეგობრული კავშირი. მგელთან რატომ? ძალიან პატარა რომ იყო, ასე აშინებდნენ, თუ შვრიის ფაფას არ ჭამ, მგელი მოვა და ტყეში თავისი ლეკვების სადილად წაგაცუნცულეხსო. სულაც არ ეშინოდა წითელქუდას, დარწმუნებული იყო, თუ მგელი მართლა ნაცუნცულეხსო, ლეკვები მისი მეგობრები გახდებოდნენ და მგელი გოგონასთვის ახალი დედა გახდებოდა, რომელიც მაუგლივით გაზრდიდა წითელქუდას. მოკლედ, თითქმის ჩვილობიდან დაამახსოვრდა, რომ ადამიანებს მგელი ძლიან საშიშ ცხოველად მიაჩნიათ. ამიტომაც გადანყვიტა მასთან დამეგობრება და უცებ ისიც გამოჩნდა... ბილიკზე მის წინ დგას, მზის სიხივები ეცემა და ბენვი უბზინავს. თვალები ცისფერი აქვს და გამჭოლი, მაგრამ საყვარელი დრუნჩი და ცხვირი მოფერებას ითხოვს, ისე იცქირება, თითქოს ეს მის რას ფიქრობს წითელქუდა. გოგონა მონუსხულივით იდგა. მერე კი ღიმილით ალაპარაკდა: — რა ლამაზი ხარ მგელო, რატომ ეშინიათ შენი? — იმიტომ, რომ დიდი კილები მაქვს და ძალიან ვიკბინები. — შენი ნება არ არის, მკბენარა იქნები თუ არა? — ხო, ჩემი ნებაა, მაგრამ ზოგჯერ ადამიანები ისე იქცევიან, რომ ძალით გაკბებინებენ. — მაინც როგორ იქცევიან? — თოფს გიღერებენ, გესვრიან, ან ბუნავს აგინიოკებენ, შვილებს მოგპარავენ. ნაიყვანენ ლეკვებს, კბილებს დაადრობენ და გალიებში გამოკეტავენ სასეიროდ. ეს კარგია? — ეს ცუდია. უფროსები მართლა ასე იქცევიან? არ ვიცი. დაღონდა წითელქუდა. — სად მიდიხარ წითელქუდა? ბებიასთან? — დიას. — როგორც ზღაპარშია... ალბათ კალათში ნამცხვარი და ტკბილეული გაქვს. ბებია კი მარტო ცხოვრობს

ტყისპირა ქოხში. — დიას, ყველაფერი ისეა, როგორც ზღაპარში. წითელქუდას უნდა შეჭამო ბებია? — არა, სულაც არ მინდა, რომ ბებია შეჭამო, მაგრამ ადამიანებმა ასე შეთხზეს, რომ მე ბებია უნდა შეჭამო. — მერე შენ გაგიჭრიან მუცელს და ბებიას ამოიყვანენ მონადირეები? — არა, ვერ ამოიყვანენ ბებიას, რადგან ეგ მხოლოდ ზღაპარში ხდება, მაგრამ მე თუ შეჭამ ბებიას, ის მოკვდება და ვერცერთი მონადირე ვერ გადაარჩენს. — რა გამოდი, ზღაპარი სიცურეა? — ხო, ასე გამოდის. — მაგრამ შენ ხომ შეგიძლია არ შეჭამო ბებია. — ცხადია შემიძლია თუ ტყეში სხვა საჭმელი იქნება, მაგრამ ერთ დღეს, თუ ვნახავ, რომ ტყეში საჭმელი აღარ არის და ჩემი ლეკვები მშვირები რჩებიან, შეჭამ ბებიას და შესძლოა შენც მიგაყოლო. რადგან მე მგელი ვარ და მგლის წესის თანამხად, აუცილებლად რაღაც უნდა შეჭამო. — მგელო, რატომ არ უნდა იყოს ტყეში საჭმელი? ნიგნში წავიკითხე, რომ მგლები ბუნების სანიტრები არიან და ბებერ ან მომაკვდავ ცხოველებს ჭამენ. ე.ი. საჭმელიც გქონია. არ მჯერა, რომ ამ ტყეში ყველა ცხოველი ახალგაზრდა ან არ კვდება. — ამ ტყეში მამაშენი და მისი მეგობრები დადიან სანადიროდ და იმას კლავენ, რაც უნდა დაბერდეს და რითაც მე და ჩემმა თანამოდმეებმა უნდა ვიარსებოთ. — მამაჩემი და მისი მეგობრები რატომ კლავენ ცხოველებს? — ერთობიან. არადა, მათ შეუძლიათ ძროხის ან სხვა შინაური ცხოველის ხორცი იყიდონ, შენ რომ დადიხარ, იმ სავაჭრო ცენტრში და ჩვენი საჭმელი ხელუხლებლად დატოვონ ტყეში. რა გეგონა, მამაშენი და მისი მეგობრები ტყეში სასეიროდ დადიოდნენ? — მგელო, თუ ტყეში საჭმელს ვერ ნახავ, მე დაგეხმარები, სავაჭრო

სახანციო გზავნილი ქართველი პატარებისათვის



ინგა გოგიბერიძე

(მომიტყვოს სხვა ქვეყნის პატარებმა, ეს ქართველებსთვისაა... განა იმიტომ, რომ სხვების არ მიყვარს და ქართველებისთვის ვნერ, არა უბრალოდ თუ უნდა გადათარგმნონ და თავიანთი წერილებით და პოეტებით შეცვალონ, მე კი მინდა ქართველები აი იაზე იზრდებოდნენ.) ზუსტად ის დრო იდგა გარეთ, მთელ ქვეყანაზე, მაღაზიის კარებს, რომ კეტავენ და სახლში მიდიან მათი

პატრონები...ახალგაზრდა ყმანვილმა, რომელსაც ანდრია ერქვა, დღეს განსაკუთრებული სიხარულით მიიხურა ნიგნის მაღაზიის კარი და შინისაკენ მოგრძო ნაბიჯებით გაემურა. მიუხაროდა. იცოდა, ახალი წელი იყო და და საჩუქრებს ელოდებოდა თოვლის ბაბუასაგან.ახალგაზრდა იყო, ბებერი კი არა, ამიტომაც სჯეროდა, რომ თოვლის ბაბუა, ნამდვილად არსებობდა და ყველა ახლი წელი განსაკუთრებული ხდებოდა მისი მოსვლით.სახლს რომ მიუახლოვდა, ირმების მარხილს მოკრა თვალი გაუკვირდა? ახალ წლამდე ხუთი საათი იყო და თოვლის ბაბუას სტუმ-

რობას ელოდა. გაიქცა.დედა, მამა და თოვლის ბაბუა რაღაცაზე მსჯელობდნენ.... შემდეგ დაემშვიდობნენ ერთმანეთს.ბაბუა სასწრაფოდ მარხილში ჩაჯდა და აფრინდა. აფრინდა იქამდე, სანამ სახლის ზღურბზე აღმოჩნდებოდა ანდრია, როგორ არ ეხვეწა მშობლებს, მაგრამ ვერაფერი გაიგო. თურმე არავის დაუნახავს, არც მარხილი, არც თოვლის ბაბუა. ძალიან მოინყინა, ისე ძალიან..... ისე რომ ადგა და ისევ ნიგნის მაღაზიაში დაბრუნდა. გადანყვიტა იქ შევხდები მარტო ახალ წელსო. გასაღები მოარ-



მარი ჩიხვიდაძე

სიგონიას დეჰი

(ედღვნება დედიკოს, ანუ მე)

დედას მუდამდღე დარდისგან ვიცავ; მთელი მსოფლიოს სიმდიდრის წონა ვერ შეედრება, დედიკოს ვფიცავ, რაც მე მის გულში სიმდიდრე მომაქვს.

მე პატარა ვარ, ციცქნა გოგონა, და დიდ სიყვარულს ვატარებ გულით, მე ხომ იმიტომ გავჩნდი, რომ დედა არასდროს ვნახო ატირებული.

მე ხომ სიცოცხლის ფეთქვა ვარ მისი, მე ხომ აკვანთან მიმდერის ნანას, ღმერთო დაგვლოცე მე და დედიკო, ამას ვნატრობ და ვინატრებ ხვალაც...



მანანა ქურციანი

ყოყლოჩინა ბატუა

ტყაპა-ტყუპით გაიარა, მთელი ეზო ბატუკამ, დამიხედეთ, რა დღეშია, ან ასე რამ გატუკნა. უყრის სიმინდს ბებო ნატა, თავს ევლება ფერებით, ეს კი თურმე ყოყლოჩინობს-მეზობლის ბატს ვერევი. აქ ეზოშიც ხომ დაჩაგრა, დედლები და მამალი, ახლა ყველა ირაზმება, მოდის მთელი ამალით. ვნახოთ ერთი რა ბიჭია, ყოყლოჩინა ბატუკა, ალბათ ფიქრობს შეიფარებს, მისი ბებო ნატუკა.

ცენტრში გიყიდიტ საჭმელს შენ და ლეკვებს.

— სხვა მგლებს რას უზამ, იმათ როგორღა დაეხმარები? მე თუ არა, სხვა ჩაიდენს ბოროტებას, სხვა უკბენს ან დაგლეჯს ადამიანს, როდესაც სხვა სჭმელი აღარ ექნებათ.

— ძალიან დამაღონე მგელო. რა შემძილია გავაკეთო თქვენთვის?

— ასწავლე შენს ტოლებს, რომ მგლები სულაც არ ვართ საშიში, თუ საჭმელი გვაქვს და ტყეში ცხოვრებაში ხელს არ გვიშლიან. ასწავლე ბიჭებს, რომ როდესაც სავაჭრო ცენტრებში შეიძლება ხორცის ყიდვა, ტყეში ირმების, შვლების და სხვა ცხოველების დასახოცად არ უნდა იარონ. უფროსები ამას გასართობ ნადირობას ეძახიან, მაგრამ სინამდვილეში დიდი ბოროტებაა. ჩვენი წესია ვინადიროთ, რადგან სხვანაირად ვერ მოვიპოვებთ საკვებს, თქვენ კი ღმერთმა ჩვენგან განსხვავებით მეტი შესაძლებლობები მოგცათ იმისთვის, რომ საკვები არასოდეს მოგაკლდეთ. ადამიანებს გამოსაკვებად ნადირობა აღარ სჭირდებათ. თუ თქვენ გაზრდით ბევრ ძროხებს, გექნებათ რძე, მანონი, ყველი, ხორცი. თუ თქვენ გაზრდით ქათმებს, გექნებათ კვერცხი და ხორცი. ჩვენ კი ტყეში დაბერებული ან ავადმყოფი ცხოველების ძებნაში ხშირად კუჭი ჩიმილით გვიხმება. ადამიანები უცნაური არსებები არიან. ზოგჯერ რაღაც თავზე საყრელი აქვთ, მაგრამ სხვისთვის არ ემეტებათ.

— ხო, როგორც იმ მენარმეებს, რომლებიც ფასდაკლებებს აცხადებენ სავაჭრო ცენტრებში. აი, ბებია-სთანაც მოვედით. ხომ ლამაზი სახლია, მოდი, ბებიას გაგაცნობ.

— შეეშინდება, მას ხომ სჯერა, რომ მგელი ბოროტია და მეგობრობა არ იცის, არც იმას დაგიჯერებს, რომ ამდენი ვილაპრაკეთ.

— მე ვეტყვი, რომ შენ ჩემი ველური ძალი ხარ და ბებია დამიჯერებს. ის სულაც რ ჰგავს სხვა უფროსებს და არც სხვა ბებიების მსგავსია.

— თუ შენსავით კეთილია, არ შემეშინდება მისი და არ შევუღრენ.

ბებია მითელქუდას დაძახილზე კარი გაღო და გაოცებისგან შეჰყვირა, ნუთუ მგელთან ერთად მოხვედი წითელქუდა, რომ როგორც ზღაპარშია, მან შემჭამოს?

— ბებია, ეს კეთილი მგელია, ზღაპარი კი ადამიანების მოგონილია.

— მაგრამ მას ხომ ძალიან დიდი პირი და კბილები აქვს.

— იმისათვის, რომ იოლად მოერიოს უმხორცს, რომელსაც მომაკვდავი ან ბებრი ცხოველისგან მიიღებს. მას ლამაზი ცისფერი თვალებიც აქვს ბებია და ადამიანების გულელებში ჩახედვა და ლაპარაკიც შეუძლია.

წითელქუდა ბებიას მოუყვა მგელთან დამეგობრების ამბავს, მგელიც მათ ფეხებთან იწვა და სიყვარულით უყურებდა გოგონას, რომელსაც, როგორც ზღაპარში წითელი ქუდი ეხურა, მაგრამ იმაზე ბევრად ეკეთილი იყო, ვიდრე ოდესმე შეეძლოთ წარმოედგინათ მგლებს. ბებიაც ძალიან კეთილი ჰყავდა და მიხვდა მგელი, რომ არასოდეს დაუშვებდა ამ მოხუცისთვის რომელიმე მგელს კბილი გაეკრა, შიმშილით სიკვდილიც რომ დამუქრებოდა. ბებია უზარმაზარი თასით გემრიელი, ხორციანი კერძი მოუტანა მგელს. თავზე ხელი თბილად გადაუსვა და უთხრა, ჭამე, ამიერიდან შენ ჩვენი მეგობარი ხარ. მგელმა იგრძნო, რომ ძალიან უყვარდა ადამიანები, სულაც აღარ ეშინოდა მათი, რადგან წითელქუდასგან და ბებიასგან სიკეთის უზამრამზარი ტალღა მოდიოდა. ის ტალღა ტყეში, ბილკზე დაფენილ, შემოდგომის ოქროსფერი ფოთლების ტალღას გავდა და ყველაფერს ასხივოსნებდა. ამიერიდან მხოლოდ მონადირეებს დავესხმები თავს, მოხუცებს და ბავშვებს კი არაფერს დაუშვებ, იფიქრა სიყვარულით მადლიერმა მგელმა და უცებ შეკრთა, რადგან სახლისკენ მომავალი თოფიანი მონადირე დაინახა.

— ვა, ყველანი აქ ხართ? ე.ი. მგელს მუცელი არ უნდა გავუჭრათ? იკითხა გაკვირვებულმა მონადირემ, რომელიც წითელქუდას ბიძა იყო.

— ეს ზღაპარი არ არის. მგელი კი ჩვენი მეგობარია, ღმირით უთხრა ბიძას ძმიშვილმა და კისერზე მოსაფერებლად ჩამოეკიდა.

გამარჯობა მგელო, - თქვა და თავზე ხელი გადაუსვა მონადირემ მხეცს. მგელი უფრო გათბა და სულ აერია თვგზა. "იქნებ ეს ყველაფერია ზღაპარია, ის კი, რასაც ზღაპარს უწოდებენ, ბოროტი სინამდვილეა," — გაიფიქრა მგელმა და ბედნიერებისგან ცისფერი თვალებიდან ცრემლი გადმოუგორდა. მგელი ტირის. გაუკვირდა მონადირეს და კიდევ ერთხელ გადაუსვა ხელი ვერცხლისფერ-შერეულ ბუნებზე.

— ბიძია, შენ ტყეში მგლის საჭმელს იპარავ. აღარასოდეს მოკლა შეველი, ირემი და ყველა ცხოველი, რომელსაც მგლები ჭამენ.

— მე გარეულ ქათმებზე ვნადირობ წითელქუდა, ისინი კი ბევრია საიმისოდ, რომ ყველას გვეყოს.

— მგელს ლეკვებს არ მოპარავ?

— არასოდეს, ისინი ხომ საყვარელი პატარა არსებები არიან, რომლებმაც დიდობაში ბუნების სანიტრების როლი უნდა შეასრულონ. მე ხშირად ვხვდები მგლებს ტყეში, მაგრამ ისინი თავს არ მესხმიან. მგლები გრძნობენ ვინ არის მათი მტერი.

— აბა, ზღაპარში რატომ ჭამს მგელი ბებიას?

— არ ვიცი წითელქუდა, ზღაპრებში ზოგჯერ ძალიან ბევრი სისულელე წერია. ..

იმ საღამოს მამის კალთაში ჩაეძინა წითელქუდას. მამამ სიტყვა მისცა, რომ აღარასოდეს ივლიდა სანადიროდ და ერთ დღეს აუცილებლად წაყვებოდა ტყეში სასეირნოდ, რომ მისი მეგობარი მგელი გაეცნო.

მამის ვატი

ჩემი თაობა მისი ლექსებით გაიზარდა... ის მათთვის ქმნიდა თავის ხალას შედეგებს, რომელთაც წითელი იდეოლოგიის ტყვეობაში უხდებოდათ პირველი ნაბიჯების გადადგმა... იქნებ, ამიტომაც გავუძელით ბევრ ცუდს? იქნებ, მისმა ლექსებმა შეგვმატეს ძალა?

კეთილი ემოცია შეუდარებელი საზრდოა ახალი სიცოცხლისთვის. გამორთეთ ტელევიზორები, როდესაც ისინი ცუდ ამბებს ჰყვებიან და ნაუკითხეთ თქვენს პატარებს ყველაზე საბავშვო პოეტის, გივი ჭიჭინაძის, ლექსები.

ეს პატარა ამბავიც მისი ლექსების ემოციით დაინერა.

ოთარიკო მუყაოს ყუთიდან ხვნეშით გადმოძვრა, მაგიდის კიდეს თავი მსუბუქად მიარტყა და ტელეფონს, რომელიც მონოტონურად და მოთმინებით რეკავდა, უპასუხა. ის დღეს მორიგეა, ამიტომაც, სადაც არ უნდა შეძვრეს, ან აძვრეს, მოვალეა, ტელეფონსაც უპასუხოს და სახლში მომსვლელ-მიმსვლელსაც ფართოდ გაუღოს კარი.

მამა იყო. იკითხა, როგორ ხართო, მაგრამ უმცროსმა ვაჟმა მამის ვალი შეახსენა — დღეს რას მოგიტანო, ჰკითხა. მამამ ისე გაიცინა, ოთარიკომ მისი თეთრი კბილებიც კი დაინახა და — მამა დღეს კარგ ამბავს მოგიტანო, უპასუხა.

პატარა ბიჭმა გაოცებისგან პირი გააფჩინა და წამით გაირინდა. რა არ მოუტანია სამსახურიდან და-



და ეფექტირძე



ნინიო მშვიდობაძე

ბებოს იავნანა

და მთელი ცხოვრება რომ მიუყვებოდა
შელმართებს...
დალარა წლებმა და სევდამ და ტკივილმა...
და ახლა, როდესაც მის ხელებს სუნი აქვს
ახალამოსული ბალახის,
შვილიშვილს აძინებს
ისე უჩვეულო იავნანით,
ისეთი სიტყვებით,
რომ მინდა მეც ვიყო პატარა,
ძალიან პატარა და
გულში ჩამიკრას...
ის კი ზის,
შვილიშვილს უმღერის ნანინას
და ჩუმად ლილინებს:
დაიძინე, ჩემო ყველავე,
ხვალის იმედო,
დაიძინე, მზის ამოსვლავ,
ლამის თენებავ.
იავნანა, ვარდო ნანა,
ნანა ნანინა,
ჩემი ფიქრი და ოცნება
შემოგვევლება.
დაიძინე, მზეჭაბუკო,
თვალეცხიმციმამო,
შენი ძილის დარაჯი ვარ
მთელი ცხოვრებაო.
იავნანა, ვარდო ნანა,
ნანინანინა,
დაიძინე, გენაცვალე,
შენ პანანინა... —
და ვზივარ ფანჯარასთან,
ისე, რომ ვერ მამჩნევს და ვუსმენ...
და სული მითბება...
ის მიუყვებოდა ცხოვრების შეღმართებს...
და ახლა, როდესაც მის ხელებს
ახალამოსული ბალახის სუნი აქვს...
შვილიშვილს აძინებს ფაქიზად
და ბებოს იავნანას უმღერის:
ღმერთო, გამიზარდე სასახელო ბიჭი!!!

ბრუნებულ მამას შვილებისთვის, მაგრამ „კარგი ამბავი“ არასოდეს. გიორგიმ ოთარიკოს მდგომარეობით ისარგებლა და ძმას კარადის თავიდან დაახტა მხრებზე. ოთარიკოს ეწყინა და ეტკინა ერთდროულად, მაგრამ ტირილი ცხვირის წვერთან შეიკავა.

— მამამ თქვა, მოვალ და რალაცას მოგიტანთო... მაგრამ რას, არ გეტყვი! „დასაჯა“ ძმა.

— მამა იკო? — ენამოჩლექილმა ლიზიმ ხელში ატატებული, ლამის ოთარიკოს სიმაღლე, თეთრი დათუნია იატაკზე დასვა და ძმებთან მოიბრინა. ლიზის მარიამი, თეონა, არჩილი და ანა მოყვნენ და ძმას რკალი შემოარტყეს, მაგრამ კარზე ზარი გაისმა და მორიგე ძმა მის გასაღებად მორჩილად გაატარეს. უცნობი დეიდა იყო, ნითელი ფერის ხუთიანშემოხაზული ბუკლეტები მოუტანა და ნავიდა... ლიზიმ ოთარიკოს თავისი ფუნთულა ხელი ჩაავლო, თავისკენ ფრთხილად მოქაჩა და თვალეში სანყალობლად ჩახედა.

— კარგი, მხოლოდ შენ გეტყვი, მამამ კარგ ამბავს მოგიტანთო, მითხრა.

— დედააააა, მამამ დარეკა კარგ ამბავს მოგიტანთოოოო! აყიჟინებული გაიქცა სამზარეულოსკენ ლიზი.

— დებილო! ახლა მართლა გაბრაზდა ოთარიკო, იატაკზე დაჯდა და ტირილი დაიწყო. ჯერ ჩუმად გამოიტირა თავისი დამარცხება, მერე იფიქრა, სხვებმა თუ არ გაიგეს ტირილს ისე რა ფასი აქვსო და ხმამაღლა, მოთქმით ატირდა.

ანამ იცის როგორც უნდა გააჩუმოს ოთარიკო, ახლა მოვა, ფეხებთან ჩაუჯდება უმცროს ძმას და თეატრალურად მოწყენილი სახით დაიწყებს:

„— ძლიერ ნუხდნენ ზღარბები...“

თავად ამოიზღუქუნებს და გააგრძელებს;

„— რატომ ნუხდნენ?“

ანა მაშინვე გაუმხელს ზღარბების ნუხილის მიზეზს;

„— ვაშლი ჰქონდათ საკრეფი...“

მერე ისევ თვითონ იკითხავს;

„— რა ქნეს მერე?“

— ჟირაფს წერილი მისწერეს...“

ოთარიკოს თვალეები გაუფართოვდება, ვითომცდა არ იცის რა მისწერეს ზღარბებმა ჟირაფს.

„— რა მისწერეს?“

უფროსი დაც არ დაამაღლებს და მხიარულად უპასუხებს:

„— აგრემც უფრო გაგებრდება ეგ ლამაზი კისერიო,

აფრიკიდან ჩამოდი და გვიხსენიო.“

მერე, ერთად იცინებენ და ყველა დაივიწყებს, რომ ოთარიკო ნაწყენია და ნატყენი.

მხოლოდ ახლა ასე არ მოხდა. ატირებულ ბიჭთან არც ანა მივიდა და არც არავინ, სამაგიეროდ, ტირილი მობეზრდა და გადაწყვიტა ლიზისთვის სამაგიერო გადაეხადა.

მაგრამ, მამამ ხომ დაარეგა, ქალს არასდროს დაარტყაო? ოთარიკო ვაჟკაცია და ისე აატირებს დას, თითსაც არ დააკარებს. ლიზი რა ქალია, ერთი მსუქანა მეტიჩარაა, მაგრამ მაინც... ჰოდა, მივა მასთან, თავისკენ შემოაბრუნებს, თვალეში ჩახედავს რომ კარგად გააგონოს ნათქვამი და დაიწყებს:

„— ვარსკვლავები ტირიან.“

— რა ატირებთ ვარსკვლავებს?

— დანა გალესილია, ხვალ თეთრ ბატკანს დაკლავენ. — ნყაროს, დარდით დაწრეტილს

სცვივა ცრემლის წვეთები:

— ლამევ, ლამევ გაგრძელდი, დიდხანს ნუ გათენდები!“

ასეც მოიქცა. ისე ჩააბულბულა ლექსი, დისტვის თვალი არ მოუშორებია, მაგრამ ვერ კი აატირა.

— ლამე კი არასოდეს გრძელდება, დაკლავენ თეთრ ბატკანს და ღირსი იქნები! ხმამაღალი შეძა-

ხილით შეეცადა ნაღვლიანი ლექსის ემოციის გამყარებას ოთარიკო. რაკი მისმა ხერხმა არ გასჭრა, დასწვრილ კიკინაში სწვდა და მაგრად ჩამოქაჩა. ლიზი ახლა მართლა ატირდა, მაგრამ ბიჭს რატომღაც შეეცოდა და თავადაც მოუნდა ტირილი. არა, დღეს არ უმართლებს!

კარზე გამუდმებით ვილაც რეკავს და ახალ-ახალ სარეკლამო ბუკლეტს უტოვებს ოთარიკოს. ლურჯს, მწვანეს, ციფრებითა და სურათებით აჭრელებულს. ანა და არჩილი თავის ოთახში მეცადინეობენ. ოთარიკომ იცის, რომ წინ არჩევნებია და ყველა მომსვლელს გულთბილად უნდა ჩამოართვას მორთმეული „ძღვენი“. დედამ ატირებული ლიზი სამზარეულოში გაიყვანა და ახლა, იმის მაგივრად, რომ დასჯილი იყოს გამყიდველობისთვის, დედასთან ერთად ცომს აბრტყელებს. „მკლავებს დაიკაპინებს, გათავდა და მორჩა!“ გიორგი, მარიამი და თეონაც კი ჩუმად არიან. „ყველას მეგობარი ჰყავს, ჩემთვის არვის სცალია, ნეტავ რისი ბრალია, უჭკუო ვარ ძალიან?“

ჩუმად შეიჭყიტა ბავშვების საძინებელში. იქ, იმიტომ, რომ სხვა არაფერი ეტევა, მხოლოდ საწოლები დგას. ისინი თეონას თეთრ საწოლზე მოკალათებულან და შოკოლადს მიირთმევენ! ამათ არ იციან რომ „ერთი დიდი შოკოლადი ათ ტოლ ფილად განანილდა“?! რომ „მეგობრობა შოკოლადზე უფრო ტკბილი რამ ყოფილა“? „— ერთი — კენტი! ორი — ლუნი!“ შოკოლადით პირგამოტენილი მარიამი ოთარიკოს საყვარელ ლექსს ამბობს. ე.ი. თან იციან და თანაც — არა? თუ ოთარიკოს დასცინიან? კარს ჩუმად ხურავს, ისე რომ და-ძმამ ვერ შეამჩნიოს და დის დანყებულ ლექსს ფიქრებში აგრძელებს

„— ერთი — კენტი! ორი — ლუნი!

— თხილს ჭამს ციყვი კნანაკუნით.

— გვერდით კიკნა ციყვი უზის:

— მაჭამეო! — თათებს უწვდის.

— სამი — კენტი! ოთხი — ლუნი!

კვლავ გრძელდება კნანაკუნით.

რამდენჯერაც — კნან! გაისმის,

კიკნა ბრაზობს: — ძუნნი! ძუნნი!“

ოთარიკო, „მეტისმეტი ჯავრისგან გულს ნუ გადაიქანცავ, შენს ქომაგად სულ მალე გამოჩნდება ვილაცა.“ თავს ირწმუნებს ბიჭი. მამა კარგ ამბავს მოიტანს, ოთარიკო ძუნნის ლექსს ეტყვის, და ის ყველაფერს მიხვდება! მამას ხომ ყველა შვილზე მეტად ოთარიკო უყვარს!

მიტოვებულ მისაღებში ლიზის უზარმაზარი თეთრი დათუნია ზის. მოწყენილია ისიც. ტელევიზორს რთავს, მაგრამ იქ ამბობენ, რომ რუსებს ქართველები არ უყვართ. ოთარიკოს კი, ქვედა სართულზე რომ ზინა ცხოვრობს, სიგიჟემდე უყვარს. ვითომ უფროსები იტყუებინან? ოთარიკოს არ უყვარს „ნაზობა“, მაგრამ ახლა აქ არავინ არის. ამიტომ, შეუძლია „თოვლის გუნდას“ მიმსგავსებულ დათვს რაც უნდა ის ეტიტინოს. ბიჭმა არ იცის რატომ ნერვიულობენ მისი მშობლები, როდესაც საღამო ხანს საინფორმაციო გადაცემას უყურებენ, რატომ ეშინიათ ომის, რატომ აფრიალებენ ამ უცხო ადამიანების მორთმეულ ბუკლეტებს მთელ სახლში, მაგრამ ბევრი ისეთი რამ იცის, რაც მათ არ გაეგებათ. მაგალითად ის, რომ „ბანზე რომ თვლემს კატა ჭრელი, ბრჭყალები აქვს დასაჭრელი“, ისიც, რომ „მზესუმზირებს ხშირ-ხშირად, თავი მოასქვთ მზის შვილად“, „ცხრათვალა მზე რატომ არის მუდამ ასე ფრთაგაშლილი“, „დაბრანულს და თეთრგულას, რა ახარებს ბელურას“, კიდევ „ულრან ტყეში მუხის ტოტზე ვინ ხმაურობს“, „ლომი რად თვლემს დღე და ღამე“, ისიც იცის, რომ „მოწყენილია ღრუბელი ატირდება და ინვიმებს.“

— ოთარიკოოო! დედა ვახშმად უხმობთ. „გული



ვახიცი გუდური რა დახატა ბაქარმა

ხატვას იწყებს ბაქარი,
მოიმარჯვა ფანქარი.
დახატა და წაშალა
დაკლაკნილი გზა-შარა.

მერე – დიდი სახლი და
გზაც დახატა ახლიდან.
გზასთან – ლობებები,
გზაზე მიდის ბებია.

სახლის გვერდით ბაღია,
იქვე – ჭაა თავლია.
ჭასთან სხედან ქათმები,
ბაღში მოჩანს ატმები.

ბაღთან ძროხა აბია
და ბავშვები დარბიან.
დააკვირდით, აქ არის
თვითონ ჩვენი ბაქარიც...

თურმე, იმას ხატავდა,
რაც გულში აქვს ნატვრად.
სოფელი და ბებია
როგორ მონატრებია.



ბადრი სუციაძე იავნანა

იავნანა-ნანასა,
ციცქნა, მერცხლის თვალასა,
ცის ნამივით ხალასა
ლმერთი მოგცემს ძალასა,
ლამის ჩუმი შრიალი
ამკობს ვარდის ყანასა,
დაიძინე პატარა,
იავნანა-ნანასა,
შუბლს გიკოცნის ნიავი,
ოქრო-კალმით ნახატსა,
ლამე ისე მშვიდია,
დაეძინა ბალახსაც,
მთვარე არწევს ვერცხლისფერ
ვარსკვლავების ჰამაკსა,
დაიძინე პატარა,
იავნანა-ნანასა,
ყვავილების სიჩუმემ
წყაროც კი დააძინა,
გული მშვიდად იგულე,
სუ, ჩემო პანანინა,
ცის ნამივით ხალასა
ლმერთი მოგცემს ძალასა,
ციცქნა, მერცხლის თვალასა,
იავნანა-ნანასა...

ამბავი ცოტნე დაიანისა



ყოველწლიურად მისართ-
მევი ორმოცდაათი ათასი
ოქროს პეპერას (ფულის
მაშინდელი ერთეულია) შეს-
აგროვებლად უნდა გადაე-
დოთ თავი. აურაცხელი ქა-
რთველი შეაკვდა სტეპების
ბინადართა დაუცხრომელ
ჟინს - მსოფლიოს მბრძანე-
ბლობას ესწრაფვოდა
უგუნურთა ბრბო.

ნოცარ შოშიტაშვილი

ეს მართლა საზღაპრო ამ-
ბავი მეცამეტე საუკუნის შუა
ხანებში მოხდა საქართველოში.
ეს ის დროა, მონღოლთა საუკუ-
ნოვანი ბატონობა რომ დაიწყო.
საქართველოს დუმნისთავები
მართავდნენ. ჰო, მაშინ მტერმა
ქვეყანა საერისთავოების ნაცვ-
ლად დუმნებად დაყო. თითო
დუმანს ათი ათასი ჯარისკაცი
გამოჰყავდა მონღოლთა დაძა-
ხილზე. ისეც ყოფილა, ერთ-
დროულად ოთხმოცდაათი ათა-
სი უებრო ქართველი მეომარი
გამოსულა მტრის ყიფინაზე და
წვრილთვალემა, წვერმეჩხერი,
ფეხებგალუნული ველურების
„გულის მოსაგებად“ უქბნევია
ხმალი.

რვა დუმანი ყოფილა იმ
დროს საქართველოში. დუმნი-
სთავებადაც თურმე ქართველ-
ნი განანესეს. ახლა, ნაცვლად
იმისა, რომ ქვეყნის გაძლიერე-
ბაზე ეზრუნათ, ყაენისთვის

კიდევ ერთი უბე-
დურება ისიცაა, რომ ამ
დროს მეფეც არა ჰყავს
ქვეყანას. თამარ მეფის
ასული რუსუდანი შვილის, და-
ვით ნარინის გამეფების დარდს
გადაჰყვა. მტერი არ ჩქარობდა,
შინ დაებრუნებინა შორეულ ყა-
რაყორუმში, დიდ ყაენთან საქა-
რთველოს მეფედ „საკურთხე-
ბლად“, ჩასული უფლისწული.

ცოტნე დაიანის თავდადე-
ბაც სწორედ მაშინდელი ამბავი
გახლავთ. ვინ იცის, რამდენჯერ
მოგისმენიათ. გოგონებს შეი-
ძლება ცრემლი მოგრევიათ, ბი-
ჭებს კიდევ გულში გაგივლიათ,
ეს რა „მაგარი“ წინაპარი გვეყო-
ლიაო...

ყველაფერი კი ასე მომხ-
დარა:

ცოტნე იმერთა, ანუ დასავ-
ლეთ საქართველოს დიდებულ-
თაგანი იყო, დადიანთა კეთილ-
შობილი გვარისა. მალალსა და
მხარბეჭიანს სქელი, ხვეული

ვაგონიდან მუთუ ვეზრდზე

მამის ვაგი

მერე ვეზრდიან

ძალზე კეთილია“ ოთარიკოს
გული კი ყველა გულზე მეტად, ამი-
ტომ არაფერს დაიჩვილებს დედას-
თან. „კუჭმა კუჭმაჭელამ“ და-ძმებს
თავი შეახსენათ და ახლა, მაგიდას
დასტრიალებენ. მას ჯერ არავინ ან-
დობს თეთრი, ვარდისფერყვავილე-
ბიანი თეფშების სამზარეულოდან
გამოტანას, მაგრამ დანა-ჩანგალის
მაგიდაზე დაწყობის უფლება კი,
მოპოვებული აქვს. ეს ანას, დედას,
არჩილს, ლიზის. მარიამს დანას არ
აძლევენ, იმიტომ, რომ ყოველთვის
ხელს იჭრის, თეონას კი ორი ჩანგალი
სჭირდება, რადგან თავად ასე თქვა.
„თეთრ სუფრაზე თეთრი სურა,
თეთრ სურაში ნუშის ტოტი“. ჰო, ნუ-
შის ტოტი არ აქვთ, მაგრამ სუფრა
ძალიან ლამაზად არის განწყობილი.
მამისთვისაც დადეს თეფში. იქნებ
ჩქარა მოვიდეს და კარგი ამბავიც

მოიტანოს? საღამოხანს, როცა მისთ-
ვის თეფშს დებენ, ეს ნიშნავს, რომ
უფრო მეტად ელიან, ვიდრე ოდესმე.
გამოდის, რომ სულ ელიან?!
ოთარიკომ ამ შემთხვევისთვისაც
იცის რა თქვას: „აბა ჩქარა, მო-
გელით, გაშლილი გვაქვს მაგიდა,
აირჩიეთ, მიირთვიეთ, სულო, გულო,
რა გინდა!“ მაგრამ ახლა ურჩევნია
გაჩუმდეს, რადგან დედამ მარიამის
თეთრ მაისურზე, ყელთან შოკოლა-
დის ლაქა დაინახა და ბრაზობს...
ესეც ერთ ძუნწს, სასჯელი!

თეფშები აივსეს. დედას სულაც
არა აქვს დაღლილი სახე, ამიტომ,
გაშლილ სუფრასთან ლაპარაკი შეი-
ძლება. „ახლა ბებომ, ალბათ, უკვე
დააპურა კრუხ-წინილა, დაქანცული
სამფეხაზე ზის და კვნესის ბუზ-
რისწინა“. დედას სიამოვნებისგან
ელიმება, მაგრამ არაფერს ამბობს.
ბავშვები ახმაურდნენ, რადგან ყვე-

ლა ცდილობს რამე თქვას.

ოთარიკო გაიტყენა, მოითენთა
და მიყურდა. ბავშვები სოფელზე
ლაპარაკობენ და თვალები უციმ-
ციმებთ. რა უცნაურია, „ეს რა დაა-
ტყდა თავსაო, ყაყაჩოს მინდვრის
ქალსაო, წითელი ქუდი ლამაზი
წაურთმევია ქარსაო“? თუ მარიამმა
თავისი წითელი ქუდი თავად მოიხა-
და? ეს რაღაა, წვიმას სახლში უნდა
შემოსვლა? „სამი დღეა წვიმა ცეკ-
ვავს, დახტის წვიმა, მღერის წვიმა“
მაგრამ სახლში რაღა უნდა ამ აბე-
ზარს? „თავმელოტი პინგვინი“ და
„ჭრელა ჟირაფიც“ შემობრძანდნენ.
ესენიც გუშინ ნახა წარმოსახვითი
ტრამვაით რომ მგზავრობდა. ვაი,
ჯუჯებიც ჩამოსულან თავიანთი
ჯუჯა სოფლიდან. მობეზრდათ სირ-
აქლემას კვერცხის ნაჭუჭში გაკეთე-
ბულ აუზში ცურვა და ოთარიკოს

მოაკითხეს? მის აბაზანაში მთელი
სოფელი ჩაეტყვა, მობრძანდით,
ოთარიკო დღეს მორიგეა და სია-
მოვნებით გაგიღებთ კარს!..

— ოთარიკოს ისევე ჩაეძინა?
კითხულობს მამა და შვილი ხელში
აყვანილი გაჰყავს საძინებელში. ეს
ყველაზე კარგი შეგონებაა, რაც კი
თავის სიცოცხლეში გამოუცდია —
მამის მტკიცე ხელზე ძილი. ე.ი.
კარგი ამბავიც? შეფხიზლდა, მაგრამ
თვალეებს ახლა სიამოვნებისგან
ნაბავს. იცის რასაც უპასუხებენ, მა-
გრამ ისე, სიამოვნების გასახან-
გრძლივებლად მაინც კითხულობს —
მამა, „უღრან ტყეში, მუხის ტოტზე,
ვინ ხმაურობს ნეტავ, ვინ?“ პასუხი
სადღაც შორიდან ესმის „ლექსებს
ბეჭდავს რემინგტონზე ხეკაკუნა
მბეჭდავი“... ძილი ნებისა,
ოთარიკოო!

თმა და მწვანე თვალელები ჰქონია, არ-
ნივისებური გამოხედვა. უმშვე-
ნიერესი ცოლი ჰყავდა თურმე და
ორი ბოკვერივით ვაჟი - რატი და
დაჩი. ცოლს თამარი ერქვა, ამს-
გავსებდნენ კიდეცა მეფექალს,
რომლის სილამაზეზე ლეგენდებს
ისევ ჰყვებოდნენ.

თვალი დაადგა მონლოლმა მსტ-
ოვარმა თამარს (დამპყრობლებმა
მსტოვარნი, ანუ ჯამუშები განუწე-
სეს ქართველ დიდებულთ სათ-
ვალთვალოდ). ხან აღმოსავლურ
ტკბილეულს უგზავნიდა „პატივის-
ცემის ნიშნად“, ხან თავად ესტუმრე-
ბოდა მხლებელთა ამალით და
პირმშვენიერ მასპინძელს ძვირფასი
თვლებით შემკულ ოქროს სამკაუ-
ლებს უხვავებდა ნინ, ისევ ქართ-
ველთაგან ნანაგლეჯს. თან ურცხ-
ვად თვალს არ აშორებდა თამარს,
რომელსაც იმის შიშით, ქმარი არ
მომიკლანო, ხმა ვერ ამოეღო. მა-
გრამ დროდადრო თავს ვერ იკავებ-
და და სადამოს შინ დაბრუნებული
ცოტნეს მკერდში თავჩარგული მა-
ლავდა ცრემლს.

ცოტნეს ვინ რას გამოაპარებდა.
ერთი სული ჰქონდა მტერზე შური
ეძია ვერც საკუთარი ღირსების ხე-
ლყოფას მოითმენდა და ვერც სამ-
შობლოს წართმევას. დღენიდაც
ქვეყნისა და ოჯახის დაცვასა და გა-
დარჩენაზე ფიქრობდა. შვილებსაც
პირველ ყოვლისა მეომრებად ზრ-
დიდა. რატი რვა წლისა იყო, დაჩი -
შვიდისა, მაგრამ ისე იქნევდნენ ორ-
ლესულ მახვილებს, გამოცდილ
მეომარსაც შეშურდებოდა.

ცოტნეს გულისნადებს სხვებიც
თანაუგრძობდნენ. არავის უნდოდა
დაპყრობილ ქვეყანაში ცხოვრება.
თანაც, აღარც მონლოლთა გაუმად-
რობის მოთმენა შეეძლოთ. და აი,
სამცხეში, კობტასთავში შეიკრიბნენ
ქვეყნის გასათავისუფლებლად გუ-
ლანთებულნი. შეთქმულების
მონაწილეთ ასე ჩამოთვლის ჟამთა-
აღმწერელი: „ამ ჭირთა შინა შეკრბეს
ყოველნი მთავარნი საქართველოს-
ანი კობტას თავსა, იმერნი და ამერ-
ნი: ეგარსლან, ცოტნე დადიანი,
ვარამ გაგელი, ყვარყვარე, კუპრი
შოთა, თორლაი, ჰერ-კახნი, ქა-
რთლელნი, თორელ-გამრეკელი,
სარგის თმოგველი, მესხნი და
ტაოელნი. და ყოველნი იტყოდეს: რა
ვყოთ?“, მართლაცდა, რა უნდა ელო-
ნათ — ტახტის მემკვიდრე არ ჩანდა,
წინამძღოლი არ ჰყავდათ, მონლოლ-
თა უღელს რომ შებრძოლებოდნენ.

არადა, კობტასთავის შეთქმუ-
ლება რომ აღსრულებულიყო, ვინ
იცის, მთელი საუკუნე აღარ ეგმინათ
ქართველებს მონლოლთა უღე-
ლქვეშ...

შეთქმულებმა მონლოლთა ნი-
ნააღდეგ „დაამტკიცეს ომი“, და-
თქვეს დრო, როცა თავ-თავიანთი
ჯარით ქართლში შეიკრიბებოდნენ
და მტერს ერთ მუშტად შეკრულნი
შეებმებოდნენ. ცოტნე დადიანი და

რაჭის ერისთავი კახებერ კახე-
ბერისძე პირველები წავიდნენ.

დიდი გზა ედოთ ნინ.
დაუბრკოლებლად მიინევდნენ
ცოტნე და კახებერი, დევგმირები-
ვით მიაგელვებდნენ თეთრ ბედაუ-
რებს. გზაგასაყარზე კვლავ ერთ-
გულედა შეჰფიცეს ერთმანეთს და
პირჯვარი გადაისახეს.

სამაგიეროდ, დანარჩენ შეთქ-
მულთ არ დასცალდათ აღმოსავლე-
თით უხიფათო მგზავრობა. ჯერ
კობტასთავი არ დაეტოვებინათ,
რომ...

შინაღალატმა აქაც იჩინა თავი.
თანაც რამდენიმე იყო გამცემი. მე-
მატიანემ, რალა თქმა უნდა, კარგად
უნყოფდა მათი ვინაობა, მაგრამ დაინ-
დო, ძმათა გამყიდველის სახელით
არ „შეამკო...“ დაინდო მათი შთამო-
მავლობაც, რომელიც, ალბათ ვერა-
სოდეს ჩამოირეცხდა ღალატის სირ-
ცხვილს.

შეთქმულებს ერთბაშად ურიცხ-
ვი მონლოლი შემოერტყა გარს,
განთქმული მშვილდ-ისრებითა და
მოკლე, მორკალული ხმლებით შეი-
არალებულნი. სწორედ იმ ხმლებით,
ქართველ მჭედლებს რომ აელესათ
და აელაპლაპებინათ დამპყრობ-
თათვის, რომელთა ხარკსა და მსახ-
ურებას ვერ აუდიოდნენ.

ანისში გარეკეს მოულოდნელი
თავდასხმისგან გაოგნებულნი. სო-
მეხტთა ყოფილი სატახტო ქალაქიც
ვინროთვალედა ველურთა სათარე-
შოდ ქცეულიყო. არც სომხები
იყვნენ მაშინ ქართველებზე უკეთეს
დღეში.

ანისს ჩორმალანი მართავდა,
მრავალ ბრძოლაში გამოცდილი, ცბ-
იერი და დაუნდობელი ნოინი, რო-
მელიც ხმალჩაუგებლად ებრძოდა
მონლოლთა ძალაუფლების შერყე-
ვის მსურველთ. თუმცა კი გულში
ქართველთადმი უჩვეულო შურს
გრძნობდა. ველურ დამპყრობელს
ქართველთა გაუტყეხელი და იმე-
დაუმრეტელი სული აშფოთებდა.
მათი უფლისა და წმინდანთა შიშიც
ზარავდა, რომელთა სახელის შე-
ბღალავს სიკვდილი ერჩიათ აქა-
ურთ.

გამოიყვანეს ნინ შეთქმულთა
შორის უსაჩინოესი, ვინმე კუპრი
შოთა, რომლის რაინდობით აღფრ-
თოვანებული შთამომავალნი შემდ-
გომ შოთა რუსთაველთანაც კი აი-
გივებდნენ მას. არადა, ეს უკვე
მეცამეტე საუკუნის შუა წლებია. ამ
დროს კი ბრძენი პოეტი კარგა ხანია,
ბარე ნახევარ საუკუნეზე მეტიც,
რაც იერუსალიმს გადაიხვეწა და იმ
დროისთვის ალბათ ცოცხალთა შო-
რის აღარც ეწერა.

მაგრამ ისევ შეთქმულებას და-
ეუბრუნდეთ. კუპრმა შოთამ ლამის
დაარწმუნა ნოინი, რომ „არა განდ-
გომად შევკრბით, არამედ რათა გან-
ვაგოთ საქმენი თქვენნი და ხარკი
განგიჩინოთ“, - და ეს ისეთი სიმშ-
ვიდით წარმოთქვა, თითქოს ნოინთა

ხარკზე უმეტესი საზრუნავი არა
ჰქონდათ რა აქ თავმოყრილთ...
ახლა პანკელი თორლაი წამოდგა
ნინ. მანაც იგივე გაიმეორა. თორ-
ლაის ტაოელი დიდებული მოჰყვა.

მერე რიგრიგობით გამოვიდნენ
ნოინებად გამწესებული ქართველი
დიდებულები. არადა, როგორი
სათქმელი იყო თუნდაც ივანე-
ყვარყვარე ჯაყელისთვის, თქვენთ-
ვის მოსართმევი ხარაჯის შეუფერ-
ხებელი მოკრებისთვის ვიღვნითო.

ჩორმალან ნოინი არც ეგზომ გუ-
ლუბრყვილო იყო, რომ ეს კარგად
მოფიქრებული ზღაპარი ერწმუნა.
არადა, შეთქმულნი სიტყვასიტყვით
იმეორებდნენ ერთურთის ნათქ-
ვამს...

ვერა და ვერ გატყებეს შეპყრობ-
ილნი. რა ხერხი აღარ მოიგონეს, მა-
გრამ ვერც შიმშილმა გაჭრა, ვერც
უნყლობამ, ვერც მათრახის შიმში და
ვერც მოხრილი ხმლის ავმა ელვარე-
ბამ...

ბოლოს გაუგონარი ხერხი მოი-
გონა ჩორმალანმა. ტანსაცმელი
გახადეს მებაბხეებს, ლამის მთლად
გამიშვლებაც დაუპირეს, მაგრამ
როცა მონლოლი ნოინი ქართველ
დიდებულთა რისხვით ანთებულ
თვალეებს ნაანყდა, უკან დაიხია.

ავგისტო იდგა. ხვატში იწვოდა
ანისი. იქ მართლაც რომ უსაშველო
სიცხე იცის. თაფლი წაუსვეს მთელ
სხეულზე შეპყრობილებს, ხელ-ფეხი
გაუკრეს (როგორი საქმეა, თავმომ-
წონე მამულიშვილს რომ ტანზე მი-
აკრავ ხელებს!) და მზის გულზე
დაყარეს.

რაც უფრო მეტად იტანჯებოდ-
ნენ, მით უფრო შეუვალი იყო მათი
გადანყვეტილება, არაფრით გაეთქ-
ვათ შეთქმულება.

ფუტკრები და კრაზანები დაეხ-
ვივნენ ტყვეებს ნაგვემ, თაფლიან
სხეულზე. მტრის მათრახზე ნაკლებ
მწარე როდი იყო ბუზანკლებისა და
კრაზანების ნაკბენი.

მრავალი დღე გავიდა ამ ვაიუბე-
დურებაში. დროდადრო ჩორმალანი
ტბის ამღვრეულ წყალს თუ გაიმე-
ტებდა განწირულთა „პირის გას-
ასველებლად“.

დღენიდაც ახსენებდნენ, გაამხ-
ილეთ შეკრების ნამდვილი მიზანი,
თორემ სიკვდილი არ აგცდებათო.

მოღალატის სახელს ისევ ასეთი
სიკვდილი ერჩივნათ და ეყარნენ
უფალს მინდობილნი. დროდადრო
რომელიმე თუ წამოსწევდა მზის მხ-
ურვალეებისგან დაოსებულ თავს და
ლოცვას აღავლენდა, - ღმერთო,
გვიშველეო, სანყალობვლად
წაიბუტბუტებდა.

ამასობაში ცოტნე დადიანი
მოადგა ციხისჯვარს თავისი
ამალით, სალაშქროდ გამზადებული,
მტერზე შურისსაგებად ანთებული.

შეიტყო ურცხვი ღალატის ამ-
ბავი. სიკვდილი ინატრა დევგმირმა.
რალა გაეწყობოდა, მარტო იმერთა
ჯარით რას მოერეოდა უთვალავ

მონლოლს. უჩუმრად გააბრუნა მეო-
მარნი, მხოლოდ ორი ერთგული
მსახური იახლა და მალე ქანც-
განყვეტილნი ანისის კარიბჭეს მი-
ადგნენ. გამგელებული შეიჭრა ქა-
ლაქის მთავარ მოედანზე, სადაც
მართლაც რომ სასეირო სახილველი
მოეწყო მტერს.

დაუფიქრებლად, უხმოდ გად-
მოეშვა ცხენიდან. იარალი აიყარა,
სამოსელი შემოიძარცვა, თავისი ხე-
ლით წაისვა შიშველ სხეულზე ბზინ-
ვარე თაფლი, მხარ-მკლავიც შეა-
ბოჭვინა თანმხლებთ და მოძმეთა
შორის ჩაიმუხლა. იგრძნო, როგორ
დააცხრა კრაზანა, როგორ ჩაასო ნე-
სტარი და ამოსწოვა სისხლი.

ოთხი მრისხანე მონლოლი ნოინი
- ჩორმალანი, იოსური, ანგურე და
ბიჭოი - მახლობელ კარავში ისხდნენ
და დასჯის ახალ მეთოდზე თათბი-
რობდნენ, რომ როგორმე გაეტყებათ
მეამბოხენი.

უეცრად მცველნი მისცვივდნენ
დამთრთხალნი და გაოცებულნი -
ცოტნე დადიანი მოვიდა, განიძარც-
ვა სამოსელი თვისი და ხელებშეკ-
რული დაჯდა ქართველთა თანაო.

„ბრძოლათა შინასახელოვან“,
ცოტნეს მშვენივრად იცნობდნენ
ნოინები. დაუფიქრებლად წამოიშ-
ალნენ და მოედანს მიაშურეს. საკუ-
თარი თვალით რომ ეხილათ
დაუჯერებელი ამბავი.

„თვინიერ ჩემსა არარაი უქმ-
ნიეს“, ჩემს მოძმეთო, განუცხადა
ცოტნემ ნოინებს, და თუ ისინი უნდა
დაისაჯონ ჯერ არნახული წამებით,
მეც მათთან ერთად აღვესრულებიო.

„განკვირდეს სათნოებისათვის“,
სტეპების ბინადარნი. ჩორმალან
ნოინმა თქვა პირველი სიტყვა - ირ-
მუნა ცოტნე დადიანის ერთგულედა
და შეპყრობილთა გათავისუფლება
ბრძანა.

ასე გადარჩნენ კობტასთავის
შეთქმულები უეჭველ სიკვდილს.

ცოტნეს გმირობის ამბავმა იმ
მონლოლი მსტოვრის ყურამდეც მი-
აღწია, მშვენიერ თამარზე, დადიანის
ერთგულ თანამეცხედრეზე რომ
ეჭირა თვალი. ყაენს ეახლა და სხვა
საერისთავოში გამწესება ითხოვა.
შეეშინდა ბუნებით მფრთხალს
გმირთან პირისპირ შეხვედრისა.

შინ დაბრუნებულ მამას რატი და
დაჩი მიეგებნენ კარიბჭესთან. მათ
თამარი მოჰყვებოდა, კიდეც უფრო
გამშვენიერებული და გალალეული.

...მემატიანეს რატისა და დაჩის
საგმირო საქმეთა შესახებ არაფერი
უთქვამს. არც გასაკვირია. ბედის
უკუღმართობამ არაერთი გმირული
და საჩინო საქმე განირა დავინყები-
სთვის.

ცოტნე დადიანის თავგანწირვა
კი ათჯერ იმაზე დიდ ქვეყანასაც
ეყოფოდა თავმოსწონებლად, საქა-
რთველო რომ იყო მაშინ...



ეცნე ხადარიძე რეზის ექსი

გაზაფხული დადგაო,
აყვავილდა იაო,
თვლა ვისნავლე ათამდე,
მიცნობთ? რეზი მქვიაო...

ამ ლექსებს მასწავლიან,
მე კი დიდი ბიჭი ვარ,
ჩემით ვიცვამ ბოტასებს,
ბაღშიც ჩემით მივდივარ.

გოგოების საქმეა,
ყვავილები, ბაბთები,
მე ვაჟკაცი ვიქნები,
როცა დიდი გავხდები.

იუბილარი

სამი წლის გახდა რეზიკო,
საქმე როდია ადვილი,
ვარსკვლავებს ეთამამება,
ვარსკვლავებიჭუნა ნამდვილი.

ლექსიც ისწავლა, სიმღერაც,
ბურთსაც ფეხს ურტყამს კაცურად,
ჭუბერელია ბიჭი და
ქუდიც სვანური ახურავს!

დევის მიხაეოცი

რიგში დგას ანდრია,
რეზი და დავითი
იების კონების ხელში...
დედის დღეს ულოცავენ
დედიკოს სიმღერით,
ვაჟკაცებს „ლილეო“ შვენით.
დედაც გაახარეს, ბებოც გაახარეს,
ნატვრაც გაუბრწყინდათ თვალში:
„სვანეთში გავფრინდეთ,
უშაზეც ავფრინდეთ,
შვილის დღე რომ იქნება, მაშინ“ ...



მარიამ წიხეაური იყო და არა იყო რა

იყო და არა იყო რა, —
ასე დაიწყო ზღაპარი,
ტყუილზე ბევრად ტყუილი,
მართალზე უფრო მართალი.
ზღაპარი ბებოს ბებოის
ბებოამ ჯიბით ატარა.
თავიდან თურმე ყოფილა
ხორბლის მარცვალზე პატარა.
ზედ მიუკემსავს ბებოის
რაში, წყარო და ფოთოლი,
ვარსკვლავები და ჩიტები,
მზეთუნახავი, ობოლი.
მეფისწული და ფასკუნჯი,
ქორბუდა, მგელი, არნივი,
მშვილდ-ისრიანი დევ-გმირი
და კუდიანი მაცილი.
უკარო ციხე-კოშკები,
ქონგურიანი ქალაქი,
ქოსატყუილა, ვეზირი,
ცხრამთისიქითა ალაგი.
ჰოდა, გაბევრდა ზღაპარი,
ველარ იტევდა ჯიბე,
სუყველაფერი შესანსლა
სულარაფერის ჯიბრზე.
შეძვრა სკივრში და წიგნებში,
ავსო ქოხიც, სასახლეს,
ზოგმა წამლისთვის გაახმო,
ზოგმა გათალა სასახრედ.
მოედო მთა-ბარს, გზა-შარას,
პეტრეს, პავლეს და ივანეს.
ეძებეს, მაგრამ დასაწყისს
მერე ველარსად მიაგნეს.
დასასრულს ნელა ახვევდნენ
ფთილად, კოჭად და გორგალად.
ვინ — ფარდაგს ქსოვდა,
ვინ — კაბას,
ვინ — ქვაბის ძირი მოკალა.
განი თხამ შემოაჭამა,
სიგრძე — დევების ვირმა,
რაც დარჩა — ცხადმა შესნსლა,
რაც არა — შესვა ძიღმა.
ბებოს ბებოის ბებოამ
ველარაფერი იღონა,
ჯიბეში ჩარჩა ნამცეცი —
იყო და არა იყო რა.

დადი წიხეაური ციხთვაცა

იყო და არა იყო რა, აბა ღვთის უკეთესი რა
უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც იყო... იყო შაშვი
მგალობელი, ღმერთი - ჩვენი მწყალობელი და იყო
ერთი პანანინა ცის ასული. თურმე ცას გამოეპარა,
მზის სხივს ჩამოაცოცდა და სკუპ - მინაზე ჩამო-
ბაჯბაჯდა. შეეშინდა და რა შეეშინდა. თვალეები არ
გაუხელია - ცამ არ დამინახოს და უკან არ წამიყვა-
ნოსო. ამ დროს მზემ თავისი სხივები წამოკრიფა
და წავიდა. ცის ასული იქვე იებთან მოიბუზა, მი-
იმალა და კარგად რომ ჩამოზნელდა, მაშინლა გაახ-
ილა თავისი დიდრონი ლამაზი, ცასავით ფოფინა
თვალეები.

ისევ შეეშინდა. ცა გადიდა მის თვალეებში.
მოდი, ამ ასულს ცისთვალა დავარქვათ. ჰოდა
ატირდა ცისთვალა... ხეები წელში მოიხარნენ,
ტოტები გადაუსვეს თავზე, მოეფერნენ. საწყალმა
ხეებმა ის ღამე თეთრად გაათენეს, თვალი არ
მოუხუჭავთ. ცისთვალა ტიროდა, ტიროდა, ლამის
ცრემლის კურცხლად იქცა.

ამ დროს ცას მტრედისფერი წამოეპარა,
გზაბნეული ცისკარა აქეთ-იქით აწყდებოდა,
ვერა და ვერ შეამჩნია იებში ჩამალული ცისთვალა
და თვითონაც ცის სილურჯეში დაიკარგა, რო-
გორც შვილმკვდარი დედის თვალეებში გალი-
ციციებული სევდა. გათენდა... ღრუბლები აი-
ყარნენ და რონინით წავიდნენ. გამოჩნდა
დარდისაგან ჩაშავებული ღამენატეხი ცა... დედის
გული ხომ კარგს არ იფიქრებს... ცამ უიმედოდ
მოატარა ირგვლივ ჩალამებული თვალეები და უცებ
სიხარულისაგან ცხრა გოჯზე შეხტა, მზის სხივი
გამოაგზავნა - ამოიყვანეო...სხივი ძირს დაეშვა,
გასრიალდა, მაგრამ მიწამ დაიჭირა, ხელები შე-
მოაჭდო, ამის ძვლები დაუღუნა... მერე მოეფერა
და ცასთან სიტყვა გაატანა:შენი ასული სასძლოდ
მინდა და არ გაგატანო. ჩავარდა ერთ შავ დღეში
მზის სხივი... თავს ზეით ძალა არ იყო, ადგა და
წავიდა...თავგზაბნეული სხივი ცისთვალას თვა-
ლებს გადაეყარა, ადგა და შიგ ჩასახლდა, თვალე-
ბი გალღვნენ და გათაფლისფერდნენ...იმ დრის
შემდეგ იმ ცის ასულს მზის სხივიანი თვალეები და
მზესავით თბილი გული აქვს, ზრდიან ლურჯი ია-
ქალწულები, მინის სასძლოდ ამზადებენ. ის კი არ
იცინა, რომ ცისთვალა უკვე დიდია, მინაზე სი-
ყვარულის ყვავილად დაგოგავს და თავის წილ სი-
ყვარულს ელის... მიწას მისი დაკარგვის ეშინია და
სიყვარულიც ვერ გაუმეტებია, ცას კი, მინიერის
დახმარება არ შეუძლია. ის სულისაა...

ჰოდა, იქცა გოგო ლამაზ ზღაპრად... იყო
კიდევ და არც იყო. როცა ცისთვალა სიყვარულს
იპოვის, ეს ზღაპარიც მაშინ დასრულდება... ახლა
კი ბოროტება იქა, სიყვარული აქა, შეჭირვება იქა,
სიხარული აქა, ყველა დიდი სიკეთეც აქა.

1982 წელი. ღვინობისთვე

დედა ფუქირიძე

წეინაფის ცროები



გაზაფხუდი

- ჭიტა-ჭიტა, ჭიტა-ჭიტა, -
თვალი გაახილა ჩიტმა,
გაზაფხული უხარია,
მალე ბარტყებს წამოჩიტავს.



დედა ფუქირიძე, ქაღიშვიტთან
ღიზა ეღისაბედ ფირცხაღავასთან
ერთად


ზაფხუდი

ზაფხულია, მზე ანათებს,
ყვავილებზე წამი ეღავს,
ზღვაზე, ტბაზე, მღინარეზე
საბანაოდ მიღის ყვეღა.



შემოდგომა

შემოდგომა მოვიღა,
ხეებს ცვივა ფოთლები,
მოვიმზადეთ წვიმისთვის
ქოღებღი და ბოტებღი.



ზამთარი

ზამთარია, თოვლი მოღის,
ცვივა ციღან ფიფქებღი,
ფისო იქსოვს ხელთათმანებს,
- ახღა თბიღად ვიქნებღი.